# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 2011 წელი.

№161 (6772)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ჩვენ რომ ქართული გვეგონა, „მაგარი ევროპა“ ყოფილა?!



რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან ასე კარდინალურად მიხეილ სააკაშვილისა და ჰოლანდიელი ტურისტის შეფასებები? 2

## ფრთხილად, ტრასაზე „მაღალია“ 10

სახალხო დამცველი:

## „დასჯილ პატიმრებს „ბოქსში“ ათავსებენ ფეხშიშველას, საცვლების ამარა, 3-დან 24 საათამდე“ 3

## ტოლერანტობა და ქსენოფობია - იაფფასიანი ლოზუნგი და სულიერი თვისება? 4



10

## დღეს ლიტვაში „ევრობასკეტი“ იწყება!

## რუსთავში 12 შენობის შეღებვისთვის 1 164 990 ლარს ხარჯავენ(?!) 2



## რატომ არ უნდა იჯდეს გაიძვერა... 5



## გარეგინ მეორე ბარაქ ობამას საქმეში ჩარევას სთხოვდა...



სრულიად სომეხთა კათალიკოსი გარეგინ მეორე ბარაქ ობამას საქართველოში რელიგიური უმცირესობების მდგომარეობით დაინტერესებას სთხოვდა. ამის შესახებ ნათქვამია სომხეთში აშშ-ის ელჩის მოადგილის ჯოზეფ პენნინგტონის 2009 წლის საიდუმლო გზავნილში.

— როგორც სომხური ეკლესიის ლიდერმა, უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო 20 წლის გამოცდილება შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რელიგიის კუთხით საქართველოში მდგომარეობა არ შეცვლილა. პირიქით, რელიგიური ცხოვრება საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მეტად შეზღუდულია, ხოლო რელიგიური და ეროვნული უმცირესობები ზემოქმედებას განიცდიან და მათ მიმართ შემწყნარებლობა არ არსებობს, — წერს გარეგინ მეორე.

მისივე თქმით, სომხური ეკლესიის ყოველგვარი მცდელობა, ეთანამშრომლა საქართველოს ხელისუფლებასთან სომხური ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით, უშედეგო იყო.

გარეგინ მეორემ ორი პრობლემა დაასახელა — რელიგიური უმცირესობების სტატუსის არარსებობა და საქართველოს ხელისუფლების უარი სხვა ეკლესიებისთვის მათ დაქვემდებარებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის შესახებ.

სომეხთა კათალიკოსი ბარაქ ობამას მიმართავს, მოსთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულება, რათა „ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ, ასევე, სხვა რელიგიებმა ნორმალურ ატმოსფეროში ფუნქციონირება შეძლონ, ადამიანთა უფლებებს კი — პატივს სცემდნენ და იცავდნენ.

მეზობლის უყურადღებობის მაგალითად კათალიკოსი თბილისში მდებარე ეკლესია „სურბ გევორქს“ ასახელებს, რომელიც თურმე ინგრევა.

## სოხუმში ქართულ მხარესთან ურთიერთობების აღდგენას ჯერ არ ვარაუდობენ

სოხუმში ქართულ მხარესთან ურთიერთობების აღდგენას ჯერ არ ვარაუდობენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ახალარჩეული დე ფაქტო პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის შტაბის ხელმძღვანელმა ლეონიდ ლაკერბაიამ განუცხადა.

— გულწრფელად რომ გითხრათ, მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ ველოდები. როგორც ვიცი, იყო მცდელობა, განახლებულიყო შლაინინგის პროცესი, მაგრამ ქართული მხარე ყოველგვარი კონტაქტის აღდგენის კატეგორიული წინააღმდეგია. ასე რომ, ამ შემთხვევაში ბურთი თქვენი პოლიტიკოსების მოედანზეა. ჩვენი მხრიდან კი, რაიმე ინიციატივების საჭიროებას ვერ ვხედავ. ჩვენ მხოლოდ ერთი საკითხი გვაქვს — თანაარსებობის საკითხი. თანაარსებობას კი, მხოლოდ აღიარების სახით ვხედავთ, — აღნიშნა ლაკერბაიამ.

მისივე განცხადებით, „მოსწონს ვინმეს, თუ არა, დღეს საქართველოს სახელმწიფო აფხაზეთის მტერია“.

— ეს ასეა იურიდიულადაც. შესაძლოა, თქვენ თქვათ, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ საქართველო, როგორც სახელმწიფო, აფხაზეთის მტერია. ჩვენ თავს მივიჩნევთ არა ოკუპირებულ ტერიტორიად, არამედ სახელმწიფოდ, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. აი, ამაშია უდიდესი განსხვავება, — განაცხადა ლაკერბაიამ.

მისივე თქმით, შესაძლოა, მსჯელობა დაიწყოს ძალის გამოუყენებლობის თუ თავდაუსხმელობის შესახებ.

№ 161. ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 2011 წელი.

## რიტორიკული კითხვები

**პოეტივით ვერ ვიტყვი, დიაცის უბესავით საამო იყო-მეთქი საცქერლად, მაგრამ ერთობ თვალსასეირო სანახავი კი გახლდათ გუშინწინ ქუთაისის ახალგაყვანილ „საველოსიპედო შოსეზე“ ველოთი გამოჭენებული ჩვენი ჩაუქი პრეზიდენტი, ადგილობრივ ველოსიპედისტ ბავშვებს რომ მიუძღოდა.**

— ეს ექვსკილომეტრიანი „ტრასა“ სამ თვეში გაიყვანესო, — „კურიერის“ დიქტორმა.

— აქაური ადრინდელი **„ჩამოძონძილ-ჩამოხეული ქუჩები“** უნდა ამოვძარცოთო, — პრეზიდენტმა, — **„ყველაფერი, რაც კეთდება, უნდა იყოს ხარისხიანი და კარგიო“,** — დასძინა.

**„— ქუთაისში ყველაზე მაგრად დაინერგება ველოსიპედი, რადგან ეს არის ყველაზე მაგარი ევროპა!“** — ესეც ბატონმა მიხეილმა ბრძანა.

**უყურე შენ! ჩვენ ხომ ერთ-ერთი ყველაზე წმინდა ქართული ქალაქი, საოცრად ხალასი იუმორის მქონე ქართული ქალაქი გვეგონა** ბატონი მიხეილისვე გადმოცემით, — აქ არაფერია ევროპული, **„უცნაური ქალაქიაო“!**

რა ვქნათ, რომელს დავუჯეროთ?

**თუმცა, კაცმა რომ თქვას, გვჭირდება და გამოგვადგება კი რომელიმესთვის ყურის დაგდება და დაჯერება?**

იქნებ ყველაფერს იმან აჯობოს, ერთი ცნობილი ტელერეკლამის მიხედვით თუ ვიტყვით, **დავლიოთ „ლაღიძე“** (და არა „სპრაიტი“, როგორც იმ რეკლამაშია!) **და ვიყოთ ის, ვინცა ვართ?**

ანუ ვიყოთ ჭეშმარიტი ქართველები, ოღონდ თანამედროვეობის მოთხოვნათათვის, პროგრესულისთვის ფეხის ამწყობნი, ქართული ტრადიციების, კულტურის, ენადამწერლობის (ამჟამინდელი თოთხმეტიდან ერთი ყველაზე გამორჩეულის!) გულმხურვალე პატრონი და დამცველი, ყოველივე იმ ქართულის გამფრთხილებელ-განმავითარებელი, რითაც არის საქართველო სხვათაგან გამორჩეული!

# ჩვენ რომ ქართული გვეგონა, „მაგარი ევროპა“ ყოფილა?!



## რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან ასე კარდინალურად მიხეილ სააკაშვილისა და ჰოლანდიელი ტურისტის შეფასებები?

რად ვედრებით და ვცდილობთ, დავემსგავსოთ ნიცასა თუ კანს, ვენეციასა თუ ვენას?

რაო, ამით ვითომ ტურისტებს მოვიზიდავთ?

**თუ ზემოხსენებული ან კიდევ ბევრი სხვა ქალაქ-ალაგის მონახულება მოუნდებათ, რაღა მათ მიმსგავსებულებში ჩამოვლენ ტურისტები, „დედნის“ მონახულებას არ ამჯობინებენ? ფული არ ეყოფათ თუ რა?**

**ამიტომ, უწინარესად, ჩვენი უნიკალური ტრადიციებით, გამორჩეული კულტურით, ეგზოტიკით, ჭეშმარიტი ქართული სულით უნდა მოვხიბლოთ და მოვიზიდოთ ისინი!**

როგორც იტყვიან, ღმერთმაც გისმინოთ, ბატონო პრეზიდენტო! რა თქმა უნდა, ისეთივე, ხარისხიანი და მკვიდრად ნაგები უნდა იყოს „ყველაზე სწრაფად“ ნაშენები ყველაფერი, როგორიც თუნდაც მიუნხენის აეროპორტის მჯობნი (თქვენი შეფასებაა!) თბილისის აეროპორტია, ან, თუნდაც, ახალგახსნილი ბათუმის იუსტიციის სახლი, ანაც, მაყურებელთათვის სულ ახლახან კარგალებული ბათუმისვე კულტურის ცენტრი, რომელთა ინტერიერი, ანუ შიდა კედლები უკვე „ალოკა“ თურმე სახურავიდან ჩამოსულმა წვიმამ.

— **„ველოსიპედი არის ევროპული ცხოვრების წესი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ამიტომაც უნდა დავნერგოთ იგიო“,** — ბრძანა ბატონმა მიხეილმა.

უკაცრავად, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ ველოსიპედის სიკეთე თქვენს დაბადებამდეც კარგად იცოდნენ ქუთაისშიც და თუნდაც მის მეზობელ სამტრედიასა თუ აბაშაში, სადაც ლამის ყოველ მეორე ოჯახში მაინც ედგათ ეს ორთვალა ტრანსპორტი, ახლა კი იშვიათად გადააწყდებით ველოსიპედისტს.

**და იმიტომ კი არა, რომ იქაურებმა ველოსიპედი გადაიყვარეს, არამედ მხოლოდ იმად, რომ მისი შესაძენი ფული არა აქვთ. გაუჩინეთ იქაურებს სამუშაო, დაასაქმეთ და ნახავთ, კვლავაც როგორ მომრავლდებიან ველოსიპედისტები!**

ქუთაისი, იგი **„ყველაზე მაგარი ევროპა“ არ ყოფილა?**

ეგ კიდევ რა არის! ჩვენ, ჩამორჩენილ ქართველებს, ქუთაისთან ერთად ბათუმიც ასევე წმინდა ქართული ქალაქი გვეგონა, მაგრამ სადა ხარ, — ერთი ჰოლანდიელი ტურისტის თქმით, **ისინი ქართული კი არა, „ძალიან უცნაური ქალაქებია“ თურმე.**

ესეც ბატონმა მიხეილმა გაგვაგებინა ტელეეთერით. ჩემს მეუღლესო, — ბრძანა, — ჰოლანდიელი ტურისტი გამოელაპარაკაო კაფეში. ძალიან უქიაო საქართველო, საოცრად კარგი, სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობსო თქვენთან, ძალიან თბილად გვხვდებიანო, სახლში გვეპატიჟებიანო, ის კი არა, პაპანაქება სიცხეში პატრულმა წყალი დაგვალევინაო...

მოკლედო, ალისა რომ მოხვდა საოცრებათა ქვეყანაში, ლამის ისეთი ქვეყანა გაქვთ, მაგრამ მას, **ამ ქვეყანას, ერთი დიდი პრობლემა აქვს, ძალიან უცნაური პრეზიდენტი ჰყავსო,** — უთქვამს იმ ტურისტს, — **ჩაიხატავს რაღაცას თავის საბავშვო რვეულში თქვენი პრეზიდენტი და მერე აკეთებინებს მათ მიხედვით რაღაცეებს, ეს არის მისი უცნაური ფანტაზიების შედეგი, ამიტომაცაა ბათუმი და ქუთაისი უცნაური ქალაქებიო...**

ასე რომ, — ბატონმა მიხეილმა, — ქუთაისი **„ყველაზე მაგარი ევროპააო“,** იმ ჰოლანდიელმა კი,

მაგრამ რახან თავად არ ვუფრთხილდებით და არ ვაფასებთ არაფერს ჩვენებურს, ქართულს, რაკი თუნდაც მართლაც უნიკალურ „ლაღიძეს“ „სპრაიტი“ და „კოკა-კოლა“ დავამჯობინეთ, მაინცდამაინც ეს, რბილად რომ ვთქვათ, მავნებელი „მატონიზებელი“ სასმელები უნდა დავლიოთ, რომ ვიყოთ ის, ვინცა ვართ?

პირადად მე მეამაყება, რომ, მავანთა აზრით, **„ჩამორჩენილი ქართველი“** ვარ და არა **„მაგარი ევროპელი“.**

დიახ, უწინარესად, სწორედ ყოველივე ქართულის დამცველ-დამფასებელ-გამფრთხილებელი და, მხოლოდ ამის მერე, ევროპისკენ, იქაური ჭეშმარიტი ღირებულებებისკენ მომზირალი, მათი შესწავლისა და ჩვენს ყოფაში ორგანულად გადმოტანა-დანერგვის მუდმივი მოსურნე...

**ფრთხილი, ერთობ აწონ-დაწონილი მიდგომაა საჭირო რამესთან ან ვინმესთან ინტეგრაციისას, თორემ ნებისმიერ ნაკადულს (დიდ მდინარესაც კი) ნებისმიერი ზღვა (მით უმეტეს ოკეანე) რომ „დააყენებს და ყლაპს უზამს“, თანაც თვალის დახამხამებაში, ვფიქრობ, არავისთვისაა უცხო.**

**არ გვიშველის მერე იმის ძახილი, „ყველაზე მაგარი ევროპა“ ვართო!**

**რუსლან რუსია**

## ერიჰა!

# რუსთავში 12 შენობის შეღებვისთვის 1 164 990 ლარს ხარჯავენ(?!)

**რუსთავში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. ღებავენ შენობათა ფასადებს. თვითმმართველობის შენობის წინ მოედნის რეკონსტრუქცია ხდება. მიმდინარე სამუშაოები რუსთავქალაქობამდე, ანუ 5 ოქტომბრამდე უნდა დასრულდეს.**

რეაბილიტირებული ქუჩის გახსნაზე პრეზიდენტს ელიან. ითვალისწინებ რა სააკაშვილის განსაკუთრებულ სიყვარულს შადრევნებისადმი, ერთის ნაცვლად, მეორე შადრევნისთვისაც შესაბამის გაყვანილობებს ამზადებენ.

„თუ უფროსობა ჩათვლის საჭიროდ, მოედნის შუა გულშიც ადვილად დავაყენებთ შადრევანს. თუმცა ამ ეტაპზე ამაზე საუბარი არაა, უბრალოდ თადარიგს ვიჭერთ და შესაბამის გაყვანილობებს წინასწარ ვამზადებთ,“ — ამბობს, რუსთავის თვითმმართველობის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის ხელმძღვანელი ბესიკ თუთბერიძე.

მას ქალაქის რუკა გამოაქვს და დეტალურად გვიხსნის, მერიის წინ მდებარე მოედნის ქვეითად მოსიარულეთათვის გადაკეთების შემდეგ, რომელ შემოვლით გზებზე გადაიტანენ მოძრაობას. ამბობს, რომ საკითხი საპატრულო პოლიციასთან უკვე გავლილია.

თუთბერიძე თანამდებობაზე ახალი დანიშნულია. მედიასთან ურთიერთობაშიც გახსნილია და ჯერ არ იცის რუსთავის მერიის წესები. წესები კი იმაში მდგომარეობს, რომ როცა რამეზე შვიდნიშნა ციფრისგან შემდგარი თანხა იხარჯება, ყველაფერზე უნდა ისაუბროს ფულის გარდა.

„მოედნის რეკონსტრუქციაზე 648 858 ლარი დაიხარჯება. პროექტს „გზატკეცილი +“ ახორციელებს. ხოლო ფასადებზე ორი ხელშეკრულება გვაქვს დადებული შპს „პრიზმასთან“ — დასძენს თუთბერიძე.

რუსთავის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თვითმმართველობა ორი ოთხსართულიანი შენობის შეღებვისთვის შპს „პრიზმას“ 214 722 ლარს უხდის. საუბარია რუსთავის კოსტავას ქუჩის №8 და №19 ნომრებზე.

ფასადების მოწყობა რომ მხოლოდ მათ შეღებვას ითვალისწინებს, თუთბერიძესთან საუბრიდან ვიცით, თუმცა რადგან თანხა საკმაოდ მსუყე გვეჩვენება, ვცდილობთ კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ.

„ჩვენ მხოლოდ ვღებავთ. სხვა რა უნდა გავაკეთოთ?! ასევე, დარაბებს ვხსნით და ვყრით. ეს მოსახლეობას უკვე ავუხსენით“. — გვეუბნებიან მშენებლობაზე მომუშავეები.

ალნიშნული ორი შენობის გარდა იგეგმება კიდევ ათი საცხოვრებელი სახლის შეღებვა. საერთო ჯამში მხოლოდ ფასადების შეღებვისთვის რუსთავის თვითმმართველობა 1 164 990 ლარს ხარჯავს. თუ ამ თანხას დავამატებთ მერიის წინ მდებარე მოედნის რეკონსტრუქციის და ერთი სათადარიგო შადრევანის თანხას, ვიღებთ 1 813 776 ლარს.

„პირადად მე მომწონს ფერები, რომლითაც ეს შენობები იღებება, თუმცა ამბობენ, რომ ძალიან დიდი ფული იხარჯება. ალბათ საქმისთვის გამოყოფილი თანხის ნახევარს ჯიბეში იდებენ. თავიდან თქვეს ქუჩის რეაბილიტაცია შენობებისთვის ფანჯრების შეცვლასაც ითვალისწინებსო. ყველასთვის მეტალოპლასმასის ფანჯრები უნდა ჩაესვათ. ახლა ამაზე არავინ საუბრობს. შეიძლება ამ ფანჯრების თანხა უკვე დახარჯულიც აქვთ. რაც შეეხება იმას, რომ კოსტავას ქუჩის ქვეითად სასიარულოდ გადაკეთებას აპირებენ, კატეგორიულად არ ვეთანხმები. ესენი, ალბათ, ხშირად სტუმრობენ სიღნაღს და რაღაცეები ერთმანეთში ერევათ,“ — ამბობს რუსთაველი ნათელა დემეტრაშვილი.

კოსტავას ქუჩის ქვეითად სასიარულოდ გადაკეთებას ამ ეტაპზე არ აპირებენ. ქალაქში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე რუსთაველები ბევრ ჭორსა, თუ მართალს ამბობენ. ერთადერთი, რაც ყველას აინტერესებს ისაა, თუ, რამდენი ათასი დაილექება მაღალჩინოსანთა ჯიბეებში იმ მილიონ-ნახევრიდან, რომელიც მიმდინარე სამუშაოებისთვის გამოიყო.

„ამ პროექტიდან რა თანხა „ტყდება“ არ ვიცი, ერთადერთი რაც შემიძლია გითხრა ისაა, რომ მოედნის გვერდით მდებარე „იმედი-ლ“ -ის ოფისს პრობლემები შეუქმნეს. მოედნის გარშემო ღია კაფეების გაკეთება უნდათ და სადაზღვევოს დაკავებული ფართის დაცლა მოსთხოვეს. თუმცა რუსთავის მერს უკან დახევა მოუხდა,“ — ამბობს ჩვენი წყარო, რომლის თქმითაც დარჩიაშვილმა „იმედი-ლ“ -ის ოფისი ერთ-ერთი მოსამართლის ჩარევით შეინარჩუნა.



რუსთავში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია გრძელდება. მილიონ-ნახევარი ლარის ბედი, რომელიც ამ საქმის წარმატებით დასრულებას უნდა მოხმარდეს, მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშია. ამ ეტაპზე, არც კონტროლის პალატა ინტერესდება იმით, თუ რაში სჭირდება ორი ოთხსართულიანი სახლის ფასადის შეღებვას 214 722 ლარი.

**მანონ ბოკუჩავა,**

**ქვემო ქართლი**

Presage.tv

◉ პენიტენციური სისტემა

# სახალხო დამცველი: „დასჯილ პატიმრებს „ბოქსში“ ათავსებენ ფეხშიშველა, საცვლების ამარა, 3-დან 24 საათამდე“

**სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, გეგმური მონიტორინგი განახორციელეს იმერეთის რეგიონის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში: ქუთაისის №2, გეგუთის №14 და ხონის №13 დაწესებულებებში.**

ქუთაისის №2 დაწესებულებაში მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 1451 პატიმარი. მონიტორინგის შედეგები იძლევა საფუძველს ითქვას, რომ წინა წელთან შედარებით, დაწესებულებაში განთავსებულ პირთა ყოფა საგრძნობლად გაუარესდა. უკანასკნელ პერიოდში, თავი იჩინა პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა. პატიმრები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ხშირად უხეშად და დამამცირებლად ექცევიან, განსაკუთრებით კი დისციპლინურ პასუხისმგებლობადაკისრებულ და კარანტინში განთავსებულ პატიმრებს. მათი თქმით, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, სამარტოო საკანში გადაყვანის ნაცვლად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, პატიმართა უმეტესობა ჯერ დაწესებულების ე.წ. „ბოქსში“ გადაჰყავთ. „ბოქსი“ წარმოადგენს დაახლოებით 2-3 კვ.მ. ფართობის მქონე საკანს, სადაც არ არის არც მაგიდა, არც სკამი და არც საწოლი და სადაც დასჯილ პატიმრებს ათავსებენ ფეხშიშველა, საცვლების ამარა, 3-დან 24 საათამდე. ზოგიერთმა მსჯავრდებულმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი „ბოქსში“ ჩაყვანის შემდეგ სცემეს, თუმცა აღნიშნული ფაქტების წერილობით დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს. პატიმართა გადმოცემით, ისინი თავს იკავებენ ყოველდღიური გასეირნებისგან, რადგან ყოველი გადაადგილება შესაძლებელია დაწესებულების თანამშრომლებთან კონფლიქტის მიზეზი გახდეს, ხოლო ისინი, ვინც მაინც სარგებლობენ ამ უფლებით, აღნიშნავენ, რომ თუ სეირნობისას ერთი პატიმარი მაინც დაარღვევს შინაგანაწესს (მაგალითად მიესალმება სხვა პატიმარს), მთელი საკანი ისჯება და ბრუნდება საკანში.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის არსებობა ქუთაისის №2 დაწესებულებაში დაადასტურა მონახულებული პატიმრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (დაახლოებით 600 პატიმარი), რაც განსაკუთრებით დამაჯერებელს ხდის აღნიშნულ ფაქტებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის დაწესებულება არის დახურული ტიპის, სადაც სხვადასხვა საკნებში განთავსებულ პატიმრებს არანაირი კონტაქტი არ აქვთ ერთმანეთთან. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში, სახალხო დამცველს



არაერთი კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქუთაისის №2 დაწესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა. ისინი საუბრობენ მათი უფლებების უხეშ დარღვევაზე და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაზე. ორ ფაქტზე, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

რთული მდგომარეობაა დაწესებულების კარანტინშიც, სადაც ახლად შეყვანილ პატიმრებს ათავსებენ. პატიმრების თქმით, კარის ყოველი გახმაურების დროს მათ აიძულებენ თავზე ხელებდაწყობილები დადგნენ ფანჯრისკენ სახით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ ვერ მოასწრო საწოლის მეორე სართულიდან დროულად ჩამოსვლა და ადმინისტრაციის მიერ მითითებულ მდგომარეობაში დადგომა, ისჯება მთელი საკანი. პატიმართა თქმით, ამ შემთხვევაში დასჯა გულისხმობს მათ დაჩოქებას თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში, რაც 1-2 საათიც კი გაგრძელებულა. დაახლოებით ორი თვეა, კარანტინში მყოფი პატიმრები ვეღარ სარგებლობენ გასეირნების უფლებით. პატიმრები ასევე აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივი ამბავია, კარანტინის საკნიდან შემოწმებაზე გამოსვლისას თანამშრომლების მხრიდან მუცელში ან გვერდებში იდაყვების ჩარტყმა.

სახალხო დამცველი მოუწოდებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, სასწრაფოდ გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება ქუთაისის №2 დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე დააყენოს ყველა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელნიც გამოირჩევიან პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობით.

ქუთაისის №2 დაწესებულებისგან განსხვავებული ვითარებაა გეგუთის №14 დაწესებულებაში, სადაც მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 2693 მსჯავრდებული. პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მოპყრობა წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია. დაწესებულების ადმინისტრაცია, მათ შორის, დაწესებულების დირექტორი, ცდილობს, რეგულარულად იქონიოს კონტაქტი პატიმრებთან და მაქსიმალურად უწყობს ხელს მათ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ გეგუთი არის ერთადერთი სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც სამარტოო საკანში მყოფ (დასჯილ) პატიმრებს ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ შხაპით, ყოველდღიური გასეირნების უფლებით და იქონიონ ჰიგიენური ნივთები. მათ ასევე ძილის წინ ეძლევათ ლეიბები და გადასაფარებლები. სამარტოო საკანში განთავსებული პატიმრებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომია ექიმის მომსახურებაც. ამ ეტაპზე გეგუთის დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების ყველაზე გამოკვეთილი სურვილია სატელეფონო აპარატების დამატება და დაწესებულების ე.წ. ბარაკების ნაწილში საფეხბურთო სტადიონის აშენება.

რაც შეეხება ხონის №13 დაწესებულებას, იგი განეკუთვნება იმ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა რიცხვს, რომელთა ლიკვიდაციის რეკომენდაციაც არაერთხელ გასცა სახალხო დამცველმა. სავარაუდოდ, აღნიშნული რეკომენდაცია უახლოეს მომავალში შესრულდება, რისი ვარაუდის საფუძველსაც იძლევა ის ფაქტი, რომ ხონის დაწესებულებაში, უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში, არ განხორციელებულა მსჯავრდებულთა ეტაპირება. მონიტორინგის დროს დაწესებულებაში სულ განთავსებული იყო 73 მსჯავრდებული. მოპყრობის მხრივ მსჯავრდებულები არ გამოთქვამენ პრეტენზიას, თუმცა დაწესებულებაში არსებული პირობები კვლავ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

Presage.tv

◉ თარიღი



## ილიას მკვლელობიდან 104 წელი შესრულდა

**გუშინ** სახელოვანი ქართველი მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან 104 წელი შესრულდა. 1907 წლის 30 აგვისტოს თბილისიდან საგურამოსაკენ მიმავალ მწერალსა და მის მეუღლე ოლღა გურამიშვილს წიწამურთან ექვსკაციანი ჯგუფი დაესხა თავს. მათ ილია მოკლეს, მისი მეუღლე მძიმედ დაჭრეს და მიიმალნენ.

ილიას მკვლელობის უშუალო მონაწილეები იყვნენ: გიგლა ბერბიჭაშვილი, ივანე ინაშვილი (მამასახლისი), გიორგი ხიზანიშვილი, თედო ლაბაური (მეეტლე), ილია მოძღვრიშვილი (მზარეული),. პავლე ფშაველიშვილი.

ხელისუფლებამ ოპერატიული მონაცემების საფუძველზე გიგლა ბერბიჭაშვილისა და ივანე ინაშვილის გარდა, ყველა დამნაშავე დაიჭირა და სიკვდილით დასაჯა. მთავარი მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი დიდხანს იმალებოდა. 1921 წელს იგი რუსეთის მე-11 არმიაში მსახურობდა და საქართველოს საოკუპაციო ბრძოლებში იარაღით ხელში მონაწილეობდა. იგი სიბერეში ხშირად შენიშნავდა, ილია მე მოვკალი და საგანგებო პენსია მეკუთვნისო. 1940 წელს ბერბიჭაშვილი დაიჭირეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, თუმცა შემდეგ პატიმრობით შეუცვალეს.

ილიას მკვლელობა ქართველმა ხალხმა უდიდეს ეროვნულ ტრაგედიად შეაფასა. მის დაკრძალვაზე მყოფმა მხცოვანმა აკაკი წერეთელმა, რომელიც იმ დროს ავადმყოფობდა, აღნიშნა: „ილიას ფასდაუდებელი წვლილი ქართველი ერის აღორძინებაში მომავალი თაობებისათვის ნიმუშის მიმცემია“. ვაჟაფშაველა კი წერდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“.

ილია ჭავჭავაძე თბილისში, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დიდი პატივით დაკრძალეს. 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და წმინდა ილია მართალი უწოდა.





პოზიცია

# ტოლერანტობა და ქსენოფობია – იაფფასიანი ლოზუნგი და სულიერი თვისება?



**რობერტ სტურუას გაძევებამ ბევრი კითხვა გაგვიჩინა — განსაკუთრებით ორის სიღრმისეულობაა საინტერესო: რას ნიშნავს ჩვენთვის ქსენოფობია და რას წარმოადგენს ჩვენთვის ტოლერანტობა? უნებლიედ ხომ არ ვთვალთმაქცობთ ჩვენივე თავთან? ხომ არ ვაყალბებთ ან დაუფიქრებლად ხომ არ ვცდებით, როდესაც ამ ორ ცნებას (ტოლერანტობას და ქსენოფობიას) ვახსენებთ?**

## ტოლერანტობა

„ჩვენი ერი ისტორიულად გამოირჩევა ტოლერანტობით!“.. ვერ ვიტან პოპულისტურ შეძახილებს. მათ, მეტწილად, მძაფრი სიყალბის სუნი დაჰკრავთ. რატომ სიყალბის — ადვილი ასახსნელია: როდესაც ადამიანი საჯარო გამოსვლას ასეთი კატეგორიული მტკიცებულებით იწყებს ეს, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ლამაზი ფრაზაა, რომელსაც ის „საქმის გასაადვილებლად“ ეპოტინება. ტოლერანტობა მეტად რთული რამაა — ბევრის სწავლას, კიდევ უფრო მეტის შემეცნებას, მთელი ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალის დაძაბვას მოითხოვს, რაც ყველას არ ძალუძს. ნაკლებად განათლებული, დაბალი ინტელექტუალური კოეფიციენტის მქონე ადამიანი იძულებულია მატრაკვეცულად იოლ გზას დაადგეს და დაუფიქრებლად შესძახოს ის, რითაც ეს წერილი იწყება.

სამწუხაროდ, დღეს ეს თანაბრად ახასიათებს სახელისუფლებო გუნდს, ოპოზიციას და ე.წ. „ელიტას“ — ახლადმოვლენილ სოციალურ ფენას, რომელიც სახელისუფლებო გუნდზე და ოპოზიციაზე გაცილებით უფრო მავნეა მისი მოსახლეობაზე და, რაც მთავარია, ახალგაზრდობაზე ფსიქოლოგიური გავლენით. ამიტომაც ჟურნალ „ტაბულის“ რედაქტორს, თავდაცვის მინისტრს და ოპოზიციური პარტიების ლიდერების უმრავლესობას ვურჩევდი: ამაზე შეჩერდით, ნუღარ კითხულობთ ჩემს ნაწერს — მხოლოდ დროს დაკარგავთ...

ტოლერანტობის ცნების უსაფუძვლოდ ხმარება ვახსენე. რასაკვირველია, ჩვენ ამით მართლაც ვამაყობთ და, მადლობა უფალს, ჯერ ეს თვისება (უკვე მხოლოდ ვერბალურ დონეზეძ არ დაგვიკარგავს. მაგრამ, მოდით დავფიქრდეთ და ვუპასუხოთ შეკითხვას: ტოლერანტობა მხოლოდ შემწყნარებლობაა? არა მგონია. ჭეშმარიტი ტოლერანტობა მოითხოვს ღრმა ცოდნას ქურთებზე, აზერბაიჯანელებზე, ბერძნებზე, ებრაელებზე, სომხებზე, ასირიელებზე — ყველაზე, ვინც საქართველოში ცხოვრობს... მაგალითისთვის ავიღოთ მხოლოდ ერთი ეთნიკური ჯგუფი — ებრაელები. ბევრი კი ვიცით მათზე? რა გაგვიგია ამ ხალხის 4000-წლიან კულტურაზე, ან თვით ისინი, აქ ჩვენს გვერდით მცხოვრებნი, ფლობენ კი საკმარის ინფორმაციას საკუთარ ისტორიაზე?

**ტოლერანტობა ათმაგად მაშინ ფასობს, როდესაც გარდა გრძნობა-განცდისა, გვაქვს ცოდნაც, როგორც გულწრფელი პატივისცემის საწინდარი, ესოდენ რომ გვჭირდება ყველას და ურომლისოდაც სახელმწიფოს ძალისხმევაც მოისუსტებს.** თავად მე მიჭირს გამოვთქვა პრეტენზია პროფესიონალიზმზე უცხო ეთნოკულტურის ცოდნის თაობაზე, და მაინც თავს უფლებას მივცემ, გავუზიარო მკითხველს მოსაზრება და ის მცირეოდენი ცოდნა, რომელიც მაქვს. ამას ვბედავ ერთი იმედით — იქნებ ეს ბიძგად იქცეს ჩვენი საზოგადოებისთვის (გარდა ჟურნალ „ტაბულის“ რედაქტორისა, თავდაცვის მინისტრისა და ოპოზიციური პარტიების ლიდერების უმრავლესობისაძ, უფრო ღრმა შემეცნების საბაბად...

**თავის დროზე გამაოცა, რომ სწორედ ებრაელებმა შეიმუშავეს და განავითარეს ისეთი ცნებები, როგორიცაა; ლოცვა, სალოცავი, სულის გადარჩენა, საყოველთაო უფასო განათლება, ქველმოქმედება... სწორედ მათ შეიტანეს ეს ცნებები საკუთარ ყოფაში მრავალი საუკუნით ადრე, ვიდრე დანარჩენი კაცობრიობა ამ ფასეულობების აღქმისთვის აღმოჩნდა მზად.** ყოველივე ამან გამიღვიძა სურვილი ჩავწვდომოდი ისეთ კითხვებს, რომლებზეც დღესაც არ არსებობს ამომწურავი პასუხი: როგორ გაჩნდნენ ცივილიზაციები, რა ამოძრავებდა მათ? რამ წარმოშვა ებრაული ცივილიზაცია და რამ მიანიჭა უნიკალური სიცოცხლისუნარიანობა?

**არსებობს მოსაზრება, რომ ებრაული ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე, სწორედ მათი მრავალი დიასპორის არსებობამ წარმოშვა და განაპირობა აუცილებლობა ებრაული კულტურის გაგრძელებისა ჩვეულებრივი ცივილიზაციის სიცოცხლის საზღვარს მიღმა.**

ალბათ ყველაფერი არც ისე იოლი ასახსნელია, მაგრამ იქნებ მართალნი არიან ფსიქოანალიტიკური სკოლის ისტორიკოსები? მაშინ ებრაული ისტორია ალბათ გამოხატავს იმას, რაც მიმალულია ებრაულ ქვეცნობიერებაში... ხსნის კი ეს თორის და თალმუდის, კარამაიზმის და კაბალის, ხასიდიზმის და სიონიზმის წარმოშობას? ან იქნებ პასუხის პოვნა შესაძლებელია ფილოსოფიური სკოლის ისტორიკოსებთან? იქნებ, ებრაულ ისტორიაში გასარკვევად, შპენგლერის „ევოლუციური ციკლები“ გამოდგება? მაგრამ თუ ასეა, რატომ არ გაქრნენ ებრაელები მათი „ციკლის“ დასრულებისთანავე? შეუძლია კი „გამოწვევების და პასუხების“ თეორიას, რომელიც ტოინბიმ შემოგვთავაზა, აგვიხსნას ეს ფენომენი?..

ჩვენ ტრდიციულად გვასწავლიდნენ, კაცობრიობის ისტორიის დაყოფას ძველ, შუასაუკუნოვან და ახალ პერიოდებად. ამიტომაცაა, რომ ხშირად გვიჭირს მისი აღქმა რომელიმე სხვა ჭრილში — მაგალითად, ცივილიზაციების გაჩენა-გაქრობის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს იდეების მოქცევა-მიმოქცევის შედეგს. ეს ხომ სულ სხვა მიდგომაა, როდესაც ცივიზაციების ბედი არ არის დამოკიდებული სამხედრო, ეკონომიურ ან ეპიდემიოლოგიურ მიზეზებზე. მოსაზრება ბევრია. ებრაული ისტორიის მიმართ, ყველაზე ნაყოფიერად მენიშნება ორი მათგანი — შპენგლერის „ფატალისტური“ და ტოინბის „თავისუფალი ნების“ თეორიები.

როგორც ცნობილია, **შპენგლერის თანახმად, ადამიანს არ ძალუძს შეცვალოს საკუთარი ბედი. ტოინბის თანახმად კი ადამიანს შეუძლია მასზე ზეგავლენა იქონიოს. იქნებ სწორედ ამ ორ თეორიაშია ებრაული პარადოქსის ახსნა? იბადება კითხვა: როგორაა შესაძლებელი ებრაული ისტორიის ახსნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიის საფუძველზე?**

დამატებითი ცოდნის გარეშე რაიმეს მიკვლევა რთულია. თუ კარგად ვიცნობთ კანტს ან სპინოზას და ალტაცებაში მოვყავართ ბრწყინვალე XIX საუკუნეს, რომელიც წარმოუდგენელია ფროიდის, ბერგსონის, მარქსის, აინშტაინის; ფერწერაში პისაროს, სუტინის, შაგალის, მოდილიანის; ლიტერატურასა და პოეზიაში ჰაინეს, პრუსტის, მორუას, რომენის; მუსიკაში მენდელსონის, ოფენბახის, მალერის სახელების გარეშე... და მხოლოდ, ებრაელი ხალხის ისტორიით დაინტერესებულთა ვიწრო წრე თუ იცნობს ლეოპოლდ ცუნცის (თანამედროვე იუდაიზმის მეცნიერული ფორმის და „ებრაული სინაღოდალური ქადაგებების ისტორიის“ შემქმნელისძ, ან მენდელ მოიხერ სფორიმის[1] სახელებს. და შემდეგ: XIV საუკუნის ფრანგ ებრაელ, მათემატიკოს და ასტრონომს იმანუელ ბონფისს[2]; ან მის თანამედროვეს ლევი ბენ გერშომს[3], ან საბატაი ცვის[4]; ან ფრანკს — საბატიანიზმის ერთგვარ რეფორმატორს; ანდა ვთქვათ, იგივე ფრანკის თანამედროვეს ისრაელ ბენ ელიაზერს[5]; ან VIII საუკუნის, ორ საოცარად კოლორიტული სულის მეამბოხეს: აბუ იჩის „ებრაელ სავანაროლას“ და მის თანამედროვეს ანან ბენ დავითს — „ებრაელ ლუთერს“.

კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტის მოყვანაა შესაძლებელი, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ყურადღება გაფანტულია — მას ხელისუფლება, ოპოზიცია, ახლადმოვლენილი ნუვორიშები „ამოსუნთქვას“ არ აცლიან და სოციალური გაჭირვების ფონზე ჩვენ გვავიწყდება, რომ თანავცხოვრობთ აზერბაიჯანელებთან, ასირიელებთან, აფხაზებთან, ბერძნებთან, სომხებთან, რუსებთან, ოსებთან, ქურთებთან...

**თუ გვინდა ტოლერანტობის შენარჩუნება და ეფექტური „ურთიერთშემხვედრი გზების გაკაფვა“, გვახსოვდეს: ტოლერანტობა მხოლოდ შემწყნარებლობა არაა — მას განმანათლებლობაც ესაჭიროება.**

## ქსენოფობია

კარგია, რომ თბილისში, სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული, უამრავი ახალგაზრდა სწავლობს — ქალაქს მართლაც, სჭირდება „ახალი სისხლი“ — ეს უდაოდ პოზიტიური „თერაპიაა“. მაგრამ, მოსწავლე ახალგაზრდობის გარდა, თბილისში დევნილების და უბრალოდ ე.წ. „სოციალური მიგრანტების“ სიმრავლეცაა. როგორც ნებისმიერ განახლების პროცესს, ამ ვითარებასაც თან სდევს ურთიერთგავლენის და ურთიერთშერწყმის მრავალი მიკროპროცესი — ახალმა („სტუმარმა“ძ უნდა შეიტანოს ძველში („მასპინძელში“ძ მისი დადებითი და პირიქით — ძველმა უნდა გადაულოცოს ახალს ის, რითაც ამაყობდნენ თბილისელთა თაობები. ურთიერთშემხვედრი ძირძველი და ახლადშეძენილი, კუთხური და ზოგადეროვნული, ერთი შეხედვით წვრილმანი და უმნიშვნელო, წესჩვეულებები ერთმანეთს ეჯახებიან და არ ხდება ადამიანის მიერ იმის გააზრება, რომ ამ ურთიერთშეხვედრისას ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და ანგარიშგასაწევი — ორივე მხრიდან ჩნდება ცრუსოციალური, აგრესიული მოტივირების ურთიერთდაპირისპირება. ქალაქში თანამცხოვრებთა სხვადასხვა, თითქოს და წვრილმანი, უმნიშვნელო წესჩვეულებანი. ხშირ შემთხვევაში, ის გამაღიზიანებელია, რომელიც არაცნობიერად უქმნის ადამიანს გარკვეულ ნეგატიურ განწყობა-ფონს. ასეთი განწყობა კი, თავის მხრივ, სწორედ ის ნიადაგია, რომელზეც მშვენივრად ხაროზს სოციალური დისკომფორტი და აგრესია — რეალური ქსენოფობია, რომლის ჭეშმარიტი საბაბი არა ეთნიკური ნიშანია, არამედ ფსიქოლოგიურ-სოციალური და ამის აღიარებას ვერავინ ბედავს.

რასაკვირველია, **ობიექტური სოციალური უსამართლობა და პოლიტიკური ნეგატივი უმთავრესი ფაქტორებია. ზემოთ ნახსენები მიზეზები და მათგან გამომდინარე განწყობა კი, სოციალურ დისკომფორტში და საზოგადოებრივ აგრესიულობაში ირაციონალურობის შემტანია, რაც ქვეყანაში არსებულ ყველა მნიშვნელოვან პროცესს აზიანებს. თბილისში ეთნიკური ქსენოფობია (მისი პირდაპირი, კლასიკური გაგებით) არც ყოფილა ოდესმე, მაგრამ გაგონილი და ამრიგად ნაცნობი იყო. სოციალური ქსენოფობია არც გაუგია ვინმეს და ახლაც ბევრი მას არასამართლიანად, მკრეხელობად და პროვოცირებად თვლის. ეს გასაგებიცაა: მოვლენა, რომელიც სრულიად ახალია, უცნაურია და ეთნიკურ თანამემამულეებს ეხება — არ შეიძლება არ აშინებდეს ადამიანს, ამიტომ ის ამჯობინებს უარყოს მისი არსებობა, დაგმოს, როგორც ცილისწამება...**

**მნიშვნელოვანი სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენა — სოციალური ქსენოფობია გაჩნდა და ვლინდება აბსოლუტურად ყოფით, ოდნავ შესამჩნევ, წვრილმან მოვლენებში, უფრო სწორად მოვლენათა ნაფლეთ-ნაგლეჯებში:**

თბილისელებს აღიზიანებთ ახალი მეზობელების ხმამაღალი, თითქმის ყვირილამდე ასული კინკლაობა; ჩამოსახლებულებს არ ესმით თბილისელების რიგში დგომის ჩვევა (სამეგრელოში ქალები, ყოველგვარი მინიშნების გარეშე, მამაკაცებს რატომღაც რიგს უთმობენძ; თბილისელებს ეხამუშებათ ჩამოსულთა მიერ უცხოსთვის შენობით მიმართვა; ჩამოსულები ღიზიანდებიან თბილისელთა ლაპარაკის მანერით და ამას გამომწვევ ამპარტავნობად მიიჩნევენ; თბილისელებს არ ესმით ჩამოსახლებულების გულგრილობა (ზოგჯერ აგრესიულობაც კიძ შინაურ ცხოველთა მიმართ — თბილისელებს ეს გულცივობის და სისასტიკის ნიშნად ეჩვენებათ; ჩამოსულების უმრავლესობა მწველ ქალში ბოზს ხედავს; თბილისელები მწვავედ განიცდიან ჭადრების მასობრივ გაჩეხვას — ახლადჩამოსახლებულები ამას არც კი ამჩნევენ, ვინაიდან მათთვის ეს არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს და ასე შემდეგ.

იმის გარკვევა, ქალაქ თბილისში, რომელი წესჩვეულება უნდა მიეცეს დავიწყებას და რომელი დამკვიდრდეს — ძნელია და, რაც მთავარია, ნაადრევია — ეს თავისთავად უნდა მოხდეს. ოღონდ, ურთიერთშეგუების და ურთიერთგამდიდრების პროცესს ხელშეწყობა სჭირდება, რაც არ ითვალისწინებს ჭკუის დარიგებას ან რაღაც განსაკუთრებულ ღონისძიებებს — ყველა თბილისელმა მოთმინება და თავშეკავებულობა უნდა გამოიჩინოს, ხოლო ახლადჩასახლებულებმა გაიაზრონ, რომ ის, რასაც ისინი მიჩვეული არიან და სამართლიანად და ბუნებრივად ეჩვენებათ, ახალ ადგილზე არც ბუნებრივია და, ამრიგად, არც სამართლიანი — სულ ესაა.

თავად მეც ხშირად ვცდები. ორიოდე დღის წინათ შეცდომა დავუშვი — გავღიზიანდი: ქუჩაში ჩემს წინ, სეირნსეირნობით, სამი ახალგაზრდა მიდიოდა — არათბილისელობა ეტყობოდათ. მე საერთოდ სწრაფად დავდივარ, ისინი კი უნებლიეთ გზას მილობავდნენ. შეამჩნიეს, რომ მათი გასწრება მინდოდა, მაგრამ თავში არ მოსვლიათ ოდნავ შეჯგუფულიყვნენ. იმისთვის რომ მათთვის გამესწრო, სავალი ნაწილიდან უნდა გადავსულიყავი... გავუსწარი და მივუბრუნდი: „შარაგზა ხომ არ არის — ვერ ხვდებით რომ აქ სხვებიც დადიან!?“ — მივაძახე. არაფერი მიპასუხეს, მაგრამ თვალებში შევატყვე — ისინიც გაღიზიანდნენ.

**ქალაქს ახალი სისხლი სჭირდება-მეთქი, როგორც გაჯანსაღების უტყუარი რეცეპტი... მთავარია სისხლის ჯგუფი დაემთხვეს — ჯერჯერობით ხშირად არ ემთხვევა.**

**რობერტ სტურუათი დავიწყე და აი სადამდე მივედი! დღეს ჩვენი საზოგადოება ტოლერანტობაშიც არაა სათანადოდ გარკვეული — „ზედაპირზე დაცურავს“ და ქსენოფობიაც უკუღმართად ესმის — სირაქლემასავით ქვიშაში მალავს თავს და ხიფათში ვარდება.**

მალხაზ ჟვანია.

**შენიშვნები:**

**[1]. თალმუდისტი, ხასქალით შეცდენილმა, იდიშზე შექმნა ცეცხლოვანი ინვექტივები დოგმატურობის და შეზღუდულობის წინააღმდეგ.**

**[2]. პირველმა, ევროპელ მეცნიერებზე 150 წლით ადრე, შემოიღო ათეულებით ათვლის სისტემა.**

**[3]. შემოიღო ახალი ტრიგონომეტრიული სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ტრიგონომეტრიას. მანვე გამოიგონა კვადრანტი, რომლითაც სარგებლობდნენ მაგელანი, კოლუმბი, ვასკო და გამა.**

**[4]. ებრაული ისტორიისთვის ყველაზე საინტერესო, მკვეთრი და მნიშვნელოვანი პიროვნება — შეიძლება ითქვას, კაბალით შობილთა შორის, ყველაზე ცნობილი „მესიაბთაგანი“. საბატიანური მოძრაობის წამომწყები და მამამთავარი.**

**[5]. ცნობილია როგორც ბაალ-შემ-ტოვი, ხასიდიზმის დამფუძნებელი.**

◉ გადაკვრით ნათქვამი გაიგე?

# რატომ არ უნდა იჯდეს გაიძვერა...

**უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ ითქვა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური დამნაშავენი არ უნდა დაისაჯონ თავისუფლების აღკვეთის სახით, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსიდან სულაც ამოვიღოთ მუხლები ეკონომიკურ დანაშაულებათა შესახებ. თანაც არა მხოლოდ ითქვა, არამედ ბევრი რამეც გაკეთდა ამისთვის.**

ბიზნესის დამნაშავეთა დამცველებს ჩვეულებრივად მოჰყავთ მხოლოდ ორი-სამი არგუმენტი თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად. ამაოდ! არგუმენტები ხომ გაცილებით მეტია. შევეცდებით შევავსოთ ხარვეზი და მოვიყვანოთ ყველაზე დამარწმუნებელი, ცხადი არგუმენტები.

**ჯერ ერთი.** უნდა იცხოვრო არა მხოლოდ დღევანდელი დღით, არამედ უნდა გაიხედო მომავლისკენაც. ეკონომიკური დამნაშავენი — ჭკვიანი და განათლებული, შემოქმედი და გაბედული ხალხია, რომელიც არ არის დამძიმებული დახამსებული მორალით. ეს ჩვენი საზოგადოების გენოფონდია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და გამოვზარდოთ. ამიტომ დაე გამოავლინონ თავიანთი უნარი თავისუფლებაში — ყველა ჩვენგანის სასიხარულოდ. ხომ სწორია?

**მეორეც.** უნდა ვიყოთ გულმოწყალენი. ეკონომიკური დამნაშავეები შეეჩვივნენ გემრიელ და ხარისხიან საჭმელს, ძვირფას ტანსაცმელს, კომფორტულ საცხოვრებელს, მდიდრულ ავტომობილებს, რჩეულ საზოგადოებას. გისოსებს მიღმა ყოფნა მათთვის — შოკის მომგვრელია. ისინი ხომ ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავეები არ არიან, რომელთა ცხოვრების პირობებიც თავისუფლებაში ძალიან დიდად არ განსხვავდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებისგან. ასე არაა?



**მესამე.** პატივი უნდა მივაგოთ ტრადიციებს. გაიხსენეთ ჯერ კიდევ რევოლუციამდელი: „თუ მოიპარავ ტომარა კარტოფილს, მოხვდები ციხეში, ხოლო თუ მოიპარავ რკინიგზას — მოხვდები პარლამენტში“. საერთოდ ჩვენთან ასე უკვე გამოდის, მაგრამ მაინც არის რისკი, რომ თემიდას რაღაც შეეშლება. უწინარეს ყოვლისა, არასრულყოფილი კანონმდებლობის გამო. საბედნიეროდ, ნოვაციები სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის-პროცესუალურ კანონებში ამ რისკებს ნულთან აახლოებს. განა ეს არ არის კარგი?

**მეოთხე.** უნდა მისცე ადამიანს მეორე შანსი. თუ ეკონომიკურ დამნაშავეს ჯარიმას მიუსჯიან, მას, ციხის გარეთ ყოფნის დროს, შეუძლია ანალიზი გაუკეთოს ნამოქმედარს და აღარ დაუშვას ძველი შეცდომები, არამედ დაგეგმოს და განახორციელოს ახალი კრიმინალური აქცია უზადოდ! ხომ სწორია?

**მეხუთე.** ეკონომიკური დამნაშავეები მოქმედებენ ენერგიულად, ჯენტლმენურად. ისინი კი არ გვართმევენ ქონებას, არამედ აკეთებენ ისე, რომ მათს პარტნიორებსა და კლიენტებს თავად მოაქვთ და აძლევენ მათ მონაგარს. და განიცდიან სიხარულსაც თითქოსდა წარმატებით დაბანდებული ფულისგან. დაგვეთანხმეთ, ეს თავისებურად ლამაზია! სილამაზე კი, როგორც ცნობილია, მსოფლიოს გადაარჩენს. ხომ გესმით ჩემი?

**მეექვსე.** ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ რუსეთს თავისი განსაკუთრებული გზა აქვს. ზოგიერთი ფილოსოფიურად განწყობილი მოქალაქე ამტკიცებს, რომ ჩვენი მისიაა — ვუჩვენოთ სხვა ხალხებს, თუ როგორ არ უნდა იცხოვრონ. მაშ, მოდით, ნუ გადავუხვევთ ამ მთავარი გზიდან!

აი, მაგალითად, მდიდარი და განათლებული შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსში გაიძვერობისთვის (თაღლითობისთვის) გათვალისწინებულია (მუხ.140) მარტივი ალტერნატივა — 5 წლამდე კატორღული ციხე (ეს დასჯის ყველაზე მკაცრი სახეობაა შესაძლებელთა შორის) ან ციხეში პატიმრობა 3 წლამდე (მათთვის, ვინც შეწყალებას იმსახურებს). მეტი არაფერი, და არანაირი ჯარიმა. განა შეიძლება ასე მკაცრად მოეპყრო ჩვენს გაიძვერებს! ისინი ხომ ჩვენი იმედები არიან ნათელი მომავლისთვის! იმისთვის, რათა დავადასტუროთ, რომ ჩვენ განსაკუთრებული გზა გვაქვს, ჩვენ, რასაკვირველია, უარი უნდა ვთქვათ მთლიანად იმ გაიძვერობისთვის თავისუფლების ჩამორთმევაზე, ვინც ეკონომიკის სფეროში მოქმედებს. ხომ სწორია?

**მეშვიდე.** უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეკონომიკური დანაშაულობა და კორუფცია ერთი მედლის ორი მხარეა. ყველა რამდენადმე სერიოზული კორუფციული აქტი ხორციელდება იმისთვის, რომ შემსუბუქდეს ეკონომიკურ დანაშაულობათა ჩადენა (ვაიძულოთ ჩინოვნიკები დაარღვიონ კანონი) ან დაიცვან თავი შესაძლო დევნისაგან ეკონომიკური სამართალდარღვევისთვის.

რაც შეეხება კომერციულ მოსყიდვებს (როგორც აქტიურს, ისე პასიურს, თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ენით ვილაპარაკებთ), რომლებიც გვხვდება ყოველ ნაბიჯზე და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ „გადაგორებას“ უწოდებენ, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეს არის სწორედ ეკონომიკური დანაშაულობანი (მუხ.-204), ე.ი. ეკონომიკური დანაშაულის შენაერთი წმინდა წყლის კორუფციასთან.

რისთვის ვლაპარაკობ ყოველივე ამას? ვინაიდან უკანასკნელ ხანებში ჩვენ განვიზრახეთ სერიოზულად ვებრძოლოთ კორუფციას, რომელიც, როგორც ცნობილია, თანამედროვე რუსული საზოგადოების სისტემის ჩამოყალიბების ფაქტორია, ჩნდება მისი დანგრევის ობიექტური საფრთხე. გვინდა ეს ჩვენ? არა, ამის დაშვება არ შეიძლება და ძლიერად რომ არ შევარყიოთ ნავი, პროცესების ბალანსირებისთვის საჭიროა მთელი არსებით შევასუსტოთ ბრძოლა ეკონომიკურ დანაშაულობასთან! სხვაგვარად არ გამოდის.

**პიოტრ სკობლიკოვი,**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

**რედაქციისგან: სტატიაში, როგორც დაინახეთ, საუბარია ძირითადად რუსეთზე. ჩვენც ხომ არაფერი გვეცნობა?**

◉ მომხმარებელი და საქონელი

# აბა, „ესკიმო“, შოკოლადის „ესკიმო-ო!“

**ნაყინი, მით უმეტეს ზაფხულში, დიდსაც და პატარასაც ერთიანად უყვარს. არადა, თურმე, თუკი ნაყინი არასწორად იყო შენახული, თანაც რამდენჯერმე გალღვა და ისევ გაიყინა, დიდი ყოფილა იმის ალბათობა, რომ მასში ნაწლავის ჩხირი, სტაფილოკოკი და სანმონელა გაჩნდეს. მაშ, როგორ გავგრილდეთ და პირიც ისე ჩავიკოკლოზინოთ, რომ არ მოვიწამლოთ?**

ნაყინით მასობრივი მოწამლვები თურმე ძვირიან კაფე-რესტორნებშიც ხდება. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ, შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ქალაქში ნაყინით ერთბაშად 20 კაცზე მეტი მოიწამლა, რომელთა ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. ქუჩის ჯიხურებსა და ხელზე მოვაჭრეების მიერ გაყიდულ პროდუქციაზე ხომ ლაპარაკიც არ არის, იმიტომ, რომ ამ მალფუჭადი პროდუქტის შენახვის პირობები იქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. ამიტომ საყვარელი ესკიმოს შესაძენად გირჩევთ არ დაიზაროთ და ისევ დიდ მაღაზიას მიაკითხოთ.

ნაყინის „ბიოგრაფიის“ შესახებ უტყუარი ინფორმაციის მისაღებად მისი დაჭაშნიკებაა საჭირო. **თუკი მისი სტრუქტურა ერთგვაროვანია, ყინულის მარცვლების გარეშე, უფრო სავარაუდოა, რომ იგი წესების დაცვით ინახებოდა. ხოლო თუკი ნაყინი ენას „გჩხვლეტთ“, ეს იმის უტყუარი მოწმობაა, რომ იგი სულ ცოტა ხელმეორედ მაინც არის გაყინული, შესაბამისად, ვარგისიანობის ვადაზე ადრე გაფუჭდება, იმასაც თავი რომ დავანებოთ, რომ გალღობისას მასში ნებისმიერი ინფექცია შეიძლებოდა შეჭრილიყო.**

გარდა ამისა, თავად ნაყინის დაზიანებული ფორმაც მასთან ცუდი მოპყრობის ნიშანია. ასაწონი ნაყინი შესაძლოა ბაქტერიების ბუდედ იქცეს, თუკი მისი ამოსაღები საწონი კოვზი, ყოველი ულუფის ამოღების წინ, საგანგებო ხსნარში არ იქნება ამოვლებული. სხვათა შორის, შეგიძლიათ გამყიდველს ჰკითხოთ, რაში ავლებს იგი კოვზს, მან ეს აუცილებლად უნდა იცოდეს. თუკი ნახავთ, რომ იგი კოვზს საერთოდ არ ავლებს, იმ ადგილას ნაყინი უმჯობესია საერთოდ არ იყიდოთ.

ნაყინის ნებისმიერ შეფუთვაზე ინგრედიენტთა სოლიდურ ნუსხას ამოიკითხავთ, თუმცა, სამწუხაროდ, სასარგებლო მათში მრავლად არ არის. დღესდღეობით რძის მრავალ პროდუქტს ცხოველთა ცხიმების მაგივრად (რომლებიც სასარგებლოა და, შესაბამისად, ძვირიც) იაფიან მცენარეულ ზეთებს — ქოქოსის, პალმის, სხვას უშვრებიან, რასაც, ასევე, ხშირად აკეთებენ ყველისა და კარაქის მწარმოებლებიც. ამას ხალხში ერთობ პოპულარული ბევრი ფირმა აკეთებს, რომელთა დასახელებისგან ამჟამად თავს შევიკავებთ. ამიტომ მყიდველებს ვურჩევთ, რომ ნაყინის შეძენისას ყურადღება მარტო მწარმოებელ ფირმასა და სახელწოდებას კი არა, არამედ შემადგენლობასაც მიაქციონ.



დაინახავთ წარწერას „მცენარეული ცხიმები“? ნუ შეიძენთ ამ ნაყინს! სხვათა შორის, ინგრედიენტების ჩამონათვალს ხშირად ძალიან წვრილი შრიფტით ბეჭდავენ, რათა წაკითხვა გაგიძნელონ, ან, სულაც, დასაკრავის ქვეშ მოაყოლებენ, ამიტომ ყურადღებას ნუ მოადუნებთ!

ყველაფერთან ერთად, ხილის ყინულს ასევე სხვადასხვა ალერგიული რეაქციის გამოწვევაც შეუძლია, განსაკუთრებით ბავშვებში: მასში, როგორც წესი, მრავალ არომატიზატორს და ქიმიურ ნივთიერებას უმატებენ. თუკი თქვენს მიერ შერჩეული ნაყინის შეფუთვაზე სამზე მეტი მღებავია დასახელებული, ბავშვებისთვის მისი მიცემა ნამდვილად არ ღირს. ხარისხიან ნაყინს ჩამონათვალში თავდაპირველად მითითებული უნდა ჰქონდეს წყალი, შემდეგ ხილის წვენი ან პიურე. თუკი ეს მოთხოვნა შეუსრულებელია, მაშინ ასეთი ყინული, შეიძლება სასარგებლოც კი იყოს!

**ლალი ხუნდაძე**

◉ გვწერენ

# იცნობდეთ: მიხაე პიარესკუ!

**ანაკლიას კურორტ-ქალაქის სტატუსი მიენიჭა და აბა, ასეთ საზარზეიმო მოვლენას ისე როგორ გაუშვებდა ქვეყნის ყოვლისშემძლე და ყოვლისშემძვრელი პრეზიდენტი, რომ საპიაროდ არ გამოეყენებინა; და მართლაც, იგეთი „რეჩი“ დაურტყა, რომ ტაშითა და „მიშა, მიშა“-ს შეძახილებით შეაძვრევინა დამსწრეთ ყოველი არემარე, თვით არცთუ ისე შორს მდებარე ოკუპირებული ქართული ტერიტორიის ზოლის ჩათვლით...**

მე მხოლოდ იმ „რეჩის“ ნაწილს ვუყურე და ვუსმინე, „იმედის“ ხელისუფლებამორჩილ ეკრანზე და ჩემდა სავალალოდ, მორიგი კომიკური ეფექტებით გაჯერებულად აღვიქვი „ჯორჯიისა“ თუ „გეორგიის“ (მალე ხომ, ალბათ, სახელწოდება „საქართველოსაც“ გაგვიუქმებენ) პირველი პირის გამოსვლა — მკვეთრი ჟესტიკულაციით, „ასხაპასხუპებული“ ადგილებით, ტაშის შემოკვრის მიმნიშნებელი ხმის აწევებით, ისტერიული შეყვირებებითა და... წლეულს, გაისად, 2015 წლისთვისაც ანაკლიაში ჩამოსულ თუ ჩამოსასვლელ ტურისტთა რაოდენობის გამომხატველი ციფრებით...

ჩემთვის სავალალო იგიც იყო, რომ ანაკლიური ზარ-ზეიმის, ტაშ-ფანდურის, ზიმზიმის, „მიშა-მიშა“-ს პარალელურად კახეთში, წარღვნა და ჯოჯოხეთი დატრიალდა...

მაპატიონ მკითხველებმა და ანაკლიაში მოზეიმეებმა ეს ჩემეული რეაგირება, მაგრამ რა ვქნა, შემზარავია საზეიმო ცერემონიალში მონაწილე ათას ხუთასი (თუ მეტი არაა „ატაშებული“ და „ამიშვებული“) ადამიანი, შემზარავია უცხოეთიდან ჩამობრძანებული, კონცერტზე გამოსული ქართველი გძელგვარიანი (რა ვქნა, ვერ დავიმახსოვრეძ ვირტუოზი პიანისტი, რომელსაც დახვედრილი ბათუმი და დარჩენილი საქართველო აყვავებული მოჩვენებია... მიუტევე უფალო, რამეთუ არა იცოდნენ, რასა უბნობდნენ... ნეტავ, რამდენი მიაბოძეს ამ მორიგ ჩამოსულს ამგვარ უბნობასა და ძვირფას როიალზე დაკვრაში... წყალწაღებულ კახეთს რამდენსლა გადაუხდიან?..

ასე იყო თუ არ იყო ასე, მიხეილ-ბატონის კვლავ ზღვისპირა საპიარო ნომერმა, რასაკვირველია, არაუკანასკნელმა, კვლავ დიდი წარმატებით ჩაიარა აწ უკვე კურორტ-ქალაქ ანაკლიაში; თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ხანებში მან არაერთი დიქტატორული ჩვევა („ზამაშკა“-ს გამოაშკარავება, მივართავთ, ნიკოლაე ჩაუშესკუს გახსენებით, მიხაე პიარესკუს **„სტატუსი“ (მარტო თვითონ ხომ არ უნდა არიგებდეს სტატუსებს...);**

**მიხაე პიარესკუ! — შთამბეჭდავად ჟღერს...**

**ბერდია ბედოიძე**

◉ ინფორმაცია

## ნიკარაგუაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის საელჩო ცხინვალშივე განთავსდა



**ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება. საელჩოს გახსნა ნიკარაგუასა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის „დიპლომატიური ურთიერთობების“ დამყარების გამო გადაწყდა. საელჩოს რეზიდენცია ცხინვალშივე განთავსდება. ელჩად კი ე.წ. პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმ ნამირ კოზაევი დანიშნა.**

**კოზაევი კოკოითის ბრძანებით, ასევე, დანიშნულია ვენესუელაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ელჩად.**

ჯო-ვიჩ-ენი



რაულ ჩილაჩავა

# ახალი რვეულიდან

ორი ლექსი
იაპონიის ელჩს ლატვიაში
ტაკაში ოსანაის და მის მეუღლეს
კეიკო სანს

## I
## ორიგამი

მარტის თვისათვის ია ფონია,
მაგრამ ეს მარტი არის უიო,
როცა ინგრევა იაპონია
და კოსმოსს ესმის მისი უიო.

ამ საშინელ ჟამს რა უნდა ვწერო,
რა მერითმება, რა მელექსება?..
დამწვარა თქვენი ქაღალდის წერო –
და მისი ფერფლით სული მევსება.

18-19 მარტი, 2011

## II
## ფუკუსიმა

ჩანგზე დაჭიმული სიმი
თითქოს იქცა უკუსიმად,
როცა გასკდა ინტერნეტში,
როგორც ბომბი, ფუკუსიმა.

მესიზმრება, თითქოს თქვენთვის
ჯადოსნური ფოკუსი მაქვს:
არც ცუნამი, არც მიწისძვრა!..
ცოცხალია ფუკუსიმა!

21 აპრილი, 2011

## ტალინი

ამ სასტუმროს, რომ გავჩერდი,
ჰქვია „ბარბარა“,
დავსეირნობ სართულ-სართულ,
დავალ ბარ-ბარად!

ბინის ქირას, რომ მეგონა,
გამატყავა შინ,
უდარდელად ვიხდი მე აქ
ფინჯან ყავაში.

მოვაშორე ხსოვნას მტვერი
და ნაფტალინი,
შემოდგომის მიმქრალ მზეზე
ბზინავს ტალინი.

მე ამგვარი შედარება
ძმებო, აწ მინდა:
დაბლა თითქოს თბილისია,
მაღლა – მთაწმინდა.

აქ ყველა სახლს საკუთარი
მნათი უნთია,
მწითურ კატას რომ ეძახის,
მატი უნტია.

გულგოროზი, განა როსმე
ნაკანკალევი,
ტოომპეას უკვდავ ძეგლად
ადგას კალევი

და ქალაქში მოკირწყლული
ქუჩაბანდებით
დადის მწუხრი – დაბზარული
ზეცის მკალავი.

28 მარტი-10 აპრილი, 2011

## საბილე

ლატვიური დაბა საბილე
ევროპის უკიდურესი ჩრდილო
წერტილია, სადაც ვაზი ხაროგს.

გავიარე ტუკუმსი,
გავიარე კანდავა,
მე რომ გულით მინდოდა,
ახლა სწორედ მანდა ვარ.
თითქოს კონდუქტორები
მთხოვდნენ გზადაგზა ბილეთს,
სანამ თვალსაწიერზე
არ გამოჩნდა საბილე.
თვალებს ვეღარ ვუჯერებ,
ფერდობს ვხედავ ვაზიანს.
აი, მართლაც თუ გნებავთ,
ბუნების ინვაზია!
დინჯი ლატვიელები
ყურძენს კრეფენ... რთველია!
ვიღაც ჩემზე ანიშნებს,
მგონი, ეს ქართველია!
კალათებში ხვავდება
შეთვალული მტევნები...
მე კვლავ მოგონებების
ბილიკს ავედევნები,
თითქოს მანდ დამრჩენია
ასი ძმა და ასი და,
მინდა შევსვა მაჭარი
საბილური თასიდან!

12-13 აპრილი, 2011

## როსტევანი

ეჰ, ცხოვრებავ, ამ ბოლო დროს
როგორ გაფათერაკდი.
ომი ომით იცვლება და
ტერაქტს მოსდევს ტერაქტი.
განსაცდელებს რომ სცოდნიათ
ერთმანეთზე გადაბმა,
დაგვანახეს ჰუსეინმა,
მუბარაქმა, კადაფმა.
უდაბნოში დევნილების
აღარაა როს ტევა,
თითქოს ჰყვირის არაბეთი,
გვიშველეო, როსტევან!
მეც ვიხსენებ გვირგვინოსანს,
(არა უგნურს, არა ბეცს).
ნუთუ მასაც შეჰბედავდნენ,
რაც შეჰბედეს არაბეთს?

15 აპრილი, 2011

## ღამე-ფანტასტი

ხსოვნას სკლეროზი შესჩვევია და აჩანაგებს, –
ჩატყდა წარსულთან შემაერთი ბოლო ბოგირი.
ჰგავს სინანული ხმალს, ქარქაშში უხმოდ
ჩანაგებს,
წინაპრის ნაღვაწს დაჰქირქილებს
ნორჩი ბლოგერი.

ჩემი აჩრდილი ძველ მაგიდას თითქოს
კვლავ უზის,
ვითომც ვიღაცას სჭირდებოდეს დღეს პოეზია.
თოვლის ბაბუას მორევია სანტა-კლაუსი,
დინამიკიდან რომ იღვრება, „ინგულ ბელსია“*.

და როგორც ჩელტზე აბრეშუმის ჭია უთუთო,
ქაღალდზე ასო იკლაკნება სასოწარკვეთით,
თანდათან ხდება ტყვიასავით მძიმე ქუთუთო,
დანისლულ მთვარეს ელანდება შორი
დარკვეთი.

მომტყდარ ტუჩიდან ქართულ სურას
მხოლოდ „ფანტა“ სდის...
და წერს სამშობლოს ისტორიას ღამე-ფანტასტი.

17 აპრილი, 2011 წელი

## გრიგოლ ორბელიანი რიგაში წერს ლექსს „ჩემს დას ეფემიას“

ნიკო ჯავახიშვილს

ადიდებულ დვინას თითქოს მეფე მიაქვს,
მეფისათვის არ გადავდგამ მე ფეხს.
ამ შორეთში მენატრები, ეფემია,
დაე, წყალსაც წაუღია მეფე!
ზოგჯერ ვფიქრობ: მე დათვს ვგავარ ორ
ბელიანს,
სამშობლო და ლექსი – ორი ბელი,
თან დამყვება, სადაც წავალ... ორბელიანს
მათზე ზრუნვით მინათდება ბნელი.
იქნებ ბედმა მეტ განსაცდელს ამარიდა,
როცა აქეთ გამაყოლა ბადრაგს.
თითქოს მესმის ირაკლის ხმა სამარიდან
და იმ ხმაზე სახე გამებადრა.
მე გულწრფელად განახლების ვენდე ნიავს,
მაგრამ მოვმკე ქარიშხალი, დაო.
ჩემს გარშემო რიგაა და ვენდენია
და წარსულის აჩრდილებთან ვდაობ.
მენანება სიჭაბუკე ჩარაზული,
გალავანში ვგავარ მიწის მუშას.
თუ მოკვდება, – სხეული და არა სული,
თუმც სხეულსაც დღემდე არა უშავს.
მე სახეებს აქაც ვხვდები ვარამიანს,
შეხედავ და იტყვი: „ესეც ტყვეა!“
დაო, ის, რომ შვება მართლაც სხვა რამეა,
ყაზარმაში უკეთ შემიტყვია!
იფ, ცხოვრება აჩრდილია, იფ, ლანდია,
მისი უკვე არაფერი არ მწამს.
ვიდრე მმარხავს ნამქერებში ლიფლანდია,
სულს ვუზერავ შენს ცრემლიან წამწამს!

15-16 მაისი, 2011

* Jingle Bells – პოპულარული ამერიკული საახალწლო სიმღერა

## არყის გამოხდა

მას შემდეგ დიდი ხანი გამოხდა,
გავიდა წლები მშვიდი და მძაფრი.
მე მახსენდება არყის გამოხდა:
„ზაოდი“... ცეცხლი... ჩეთვერი... ძაბრი...
ცისფერი სითხე ისლის ღეროდან
მოწვეთავს, როგორც ჩვილი ყრმის ცრემლი
და ქარი მღერის, როგორც მღეროდა,
დგას სურნელება ქლიავის, ტყემლის.
ვით პატარძალი გვირგვინქვეშ მდგარი,
მზე თვალებს ნაბავს ზეცის კიდედან,
მერე სამზადის იღება კარი
და ზღურბლზე ჩნდება ჩემი დიდედა.
დაუვიწყარი ეს მოგონება
სხვა ზმანებებში ვიღამ გარიოს!..
ცხონება მის სულს, მარად ცხონება,
მე დღემდე შევთხოვ მიქამგარიოს.

## „ავე, ზღაპარო!“

წარმოვიდგინე, თითქოს რომში ვარ
და ძველ ეტრატზე გიწერ მადრიგალს.
კვიპაროსების ჩრდილქვეშ რომ შევა,
მკვეთრად ჩერდება ჩემი კვადრიგა.
და მე, ჩაცმული ძვირფას ტოგაში,
გიძღვნი ვნებათა დალუქულ ალებს.
(არხევს ნიავი პალმას რტოგაშლილს,
რომელიც ნაყოფს მოისხამს მალე).
უკვე წაშლილან ჩვენს შორის მთანი...
ფიქრით კი არა, ბაგით გეხები.
მე მფერფლავს შენი მარმარის ტანი,
გედის ყელი და ირმის ფეხები.
მხარზე მაჯდება ფრინველი ლიბრი
და ცდილობს სევდა შემომაპაროს.
ნებივრობს რომი... მიღელავს ტიბრი
და მე ვჩურჩულებ: „ავე, ზღაპარო!“

17-18 მაისი, 2011

## ენგური

მყინვარებიდან მოედინები,
მოამტვრევ ტინებს ნაფოტ-ნაფოტად.
არ გეყოფოდა შენ კალაპოტად
ეს პროსპექტები და მოედნები.

ვით ტუსაღს ტანზე კვალი ტატუსი,
შენც დაგტყობია რუსის „უკაზი“
და გახსენებენ საზღვრად რუკაზე –
გამოგიცვალეს თურმე სტატუსი.

ბედნიერი ხარ... არ იცი შენ ეს
და მოაგორებ ტალღას ტალღაზე...
და უკვირთ, უკვირთ ბიჭებს მალხაზებს,
კედელი რატომ ამოაშენეს

მათ შორის... წყლის და ქვების კედელი...
რატომ დგას უცხო გუშაგი ხიდთან,
რატომ სულდგმულობს, ვინც მამულს ყიდდა
და იყო ქრისტეს ფეხის მკვნეტელი?..

დამსგავსებია სული ჩაიდანს –
თუხთუხებს, უსტვენს, ამოსდის ორთქლი
და შენც – ამ ექოს მოგუდულ მოთქმის –
შენს შავ საფლავში – ზღვაში ჩაიტან!

19 მაისი, 2011

## ყეფა მაღლიდან

დღეს თითქოს მზესთან ძაღლი უბია
და ცდილობს ბინდი არ მიაკაროს,
მაგრამ დაუძრავს არმია ქარონს,
დრო მისი ხმალი და ფარ-შუბია.
დრო – წარმტყვეველი და წამლეკავი
არსთა ყოველთა – ძეთა, ასულთა.
ძირს დარჩენილთა, მაღლა ასულთა,
გამშეშებელი, როგორც წელკავი.
არის გუგუნი და რია-რია,
ვიღაც ბორძიკობს, ვიღაც ეცემა.
ნეტავ, პასუხი თუ გაეცემა,
ვინც ეს ნათელი დარი არია?
მე თუ დამღლიდა, ესღა დამღლიდა:
ამ მართლაც ცოდვის კითხვის ყურება...
მზე იწურება, მზე იწურება
და... ძაღლის ყეფა მესმის მაღლიდან.

11-13 მაისი, 2011
ქ. კიევი.

## ბრძოლა წარსულთან

## რა დაგიშავა სახელოვანი ქართველების ძეგლებმა, ბატონო პრეზიდენტო?

საღვთო ომი აქვს გამოცხადებული ქვეყნის პრეზიდენტს გამოჩენილი ქართველების ძეგლების წინააღმდეგ. რატომ სჩადის ამ „გმირულ“ საქმეს, ჯერჯერობით ვერავინ ვერ გაარკვია, ვერც ნაცებმა, ვერც „სანაქებო“ ოპოზიციამ და ვერც დაჩმორებულმა საზოგადოებამ.

ეს ათვალწუნებული ძეგლები ჩვენი სახელოვანი მოქანდაკეების მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის და შოთა მიქატაძის შემოქმედებაა. ახლა ის არ არის საკითხავი, რატომ გააშორეს ქალაქის ცენტრს დავით აღმაშენებლის ძეგლი როგორც თბილისში, ისე ქუთაისში. ასევე მოექცნენ ილია ჭავჭავაძის ძეგლს ბათუმში. გორში იოსებ სტალინის ძეგლი შუაღამისას გააქრეს. ქუთაისში კი დიდების მემორიალი ისეთი ზალპით აიღეს, სტალინგრადის ბრძოლა გაგვახსენა. ამ ზალპს დედა-შვილი შეეწირა. ქუთათურები კი დუმდნენ. ახლახან ამ მოუშორებელ სირცხვილს ისიც მიამატეს, რომ ქალაქის ცენტრიდან გაძევებული დავით აღმაშენებლის ძეგლი რკინიგზის სადგურის წინ რომ წამოჭიმეს, თითქოს დამსახურებული რკინიგზელი ყოფილიყო, კრინტი არ დაძრეს. როგორ ფიქრობენ ქუთათურები, მარტო გემრიელი პურმარილი და ქუთაისური შაყირი კმარა? ვნახოთ მომავალში, რომელი ძეგლის რიგია, ვის ძეგლს რა ბედი ელის. ისე ნაცებმა თავიანთი სირცხვილის ძეგლი კარგა ხანია უკვე დაიდგეს. ვნახოთ, მომავალი რას გვიქადის, ღმერთი მაღლიდან იყურება.

დურმიშხან ცინცაძე

## ინფორმაცია



## თბილისში მოხალისე პედაგოგების ახალი ჯგუფი ჩამოვიდა

პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში, საქართველოში მოხალისე პედაგოგების ჩამოსვლა გრძელდება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ამერიკელი, კანადელი, პოლონელი, ინგლისელი, ნორვეგიელი, ინდოელი, ირლანდიელი, ფილიპინელი, სამხრეთაფრიკელი, ავსტრალიელი და ახალი ზელანდიელი მოხალისეები გურიის, სამეგრელოს, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, აჭარისა და თბილისის საჯარო სკოლებში გადანაწილდებიან.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, მოხალისე მასწავლებლები სპეციალურად ამ პროგრამისთვის არიან შერჩეულნი, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება და დიდი სურვილი ჩაერთონ ქართულ ანალოგიურ პროექტში.

პროექტი „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ უკვე ერთი წელია, ხორციელდება. ინგლისურენოვანი მოხალისე პედაგოგები ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად მთელი საქართველოს მასშტაბით მოსწავლეებს ინგლისურს გაძლიერებულად ასწავლიან.

სამინისტროს ინფორმაციით, წარმატებული პროექტი, რომელმაც მსოფლიოში დიდი დაინტერესება და გამოხმაურება გამოიწვია, ახალი სასწავლო წლიდან კვლავ გაგრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

ყირამალა

# მთავარი რეჟისორი

— მოიცა, მოიცა, რას გარბიხარ, — დაქაჩა მაჯაზე გიომ ძმაკაცს.

— მეჩქარება და გავრბივარ, — თავი იმართლა ნიკამ და ნაბიჯს უფრო აუჩქარა.

— ნახე, რამდენი ხალხი შეკრებილა თეატრთან, ხომ არ გაგვეგო, რა ხდება? — დაინტერესდა გიო.

— მსახიობები არიან, ეტყობა, რობიკოს მხარდამჭერ აქციას აწყობენ, — სცადა განმარტება ნიკამ.

— ჰო, მართლა, რობიკოს მოხსნაზე რა აზრის ხარ?

— იმ აზრის, რომ არანაირი აზრი არ გამაჩნია.

— როგორ, კაცო, აბა უაზროდ დაალაჯებ ამსიმაღლე ჯორი?

— რას მედავები, ვერ გავიგე? — მხრები აიჩეჩა ნიკამ, — მთელი ქვეყანა ამ კომპოტში არ ვიხარშებით?

— მაინც რომელში?

— ვითომ არ იცოდე. ჩვენს მაგივრად მხოლოდ ერთი კაცი აზროვნებს და იმის წყალობით ვიმართებით.

— ეგ როგორ, გამაგებინე, ქვეყანა ვართ თუ აქუს „კანტორა“?

— კანტორა, რომელსაც მართავს დირექტორი, — მორჩა და გათავდა!

— შენ გინდა თქვა, რომ მიშა პრეზიდენტი დირექტორის პონტში გვმართავს?

— ეგრეა, კაი ბიჭი ხარ და გაუწინაალმდეგდი.

— რობიკო არ დაემორჩილა და იმიტომ მოხსნა?

— მახლას, გამოიცანი.

— მაგრამ რობიკო ხო თეატრის რეჟისორია. გამოდის, რომ კანტორის დირექტორმა თეატრის რეჟისორი მოხსნა?

— ჰო, რა გიკვირს, მიშა ერთდროულად ქვეყნის დირექტორიც არის და თეატრის მთავარი რეჟისორიც.

— თუ რეჟისორია, მაშ რატომ სპექტაკლებს არა დგამს?

— სულ სპექტაკლებში არა ვართ, ჯერ ერთი არ დაუმთავრებია, რომ უკვე მეორეს იწყებს.

— მერე, ამდენი სპექტაკლების ავტორს მთავარი რეჟისორი არა სჭირდება?

— მიშას გენია სწორედ მაგაშია, მთავარი რეჟისორიც თავად არის და მსახიობიც. ერთი თეატრი ორ მთავარ რეჟისორს რა თავში იხლის? ჰოდა, საბიუჯეტო თანხები ტყუილად რომ არ გადაეყარა, ადგა და რობიკო გაათავისუფლა.

— ახლა რუსეთში რო ეპატიჟებიან, იქაც ხო ჰყავთ დირექტორი?

— იქ დიქტატორი დირექტორი (პუტინიძ ჰყავთ, ჩვენთან კი — დემოკრატი დირექტორი (სააკაშვილიძ. ამას უფლება აქვს, ყველგან ჩაყოს ცხვირი, იმას — არა.

— გავიგე, ყველაფერი გავიგე, — ხელები ასწია გიომ, — მაგრამ იმას ვერ მივხვდი, ასე სად მიგეჩქარება?

— მერიაში, ძმაო, მერიაში, ფანჯრები მაქვს გამოსაცვლელი და უნდა შევუკვეთო.

— პირადად უგულავა იღებს შეკვეთებს?

— როცა ადგილზეა, კი, მაგრამ ახლა გუდაურშია წასული სასტუმროს გასახსნელად.

— აბა მის მოადგილეებთან მოგიწევს საქმის დაჭერა.

— მაგიტო მეჩქარება, მოადგილეები ხო იცი, ყოველთვის უფრო ბიუროკრატები არიან, ვიდრე უფროსები.

— აკი გამარტივდა ფანჯრების გამოცვლის პროცედურაო?

— ჰო, ძალიან გამარტივდა, მარტო ფანჯრების არქიტექტურული იერსახელა დარჩა მერიასთან შესათანხმებელი.

— მაგრამ შენ რა გაგიმარტივდა, მაინც ვერ გავიგე.

— ახლა უფრო მარტივად და სწრაფად დავრბივარ, ვიდრე თავად სახლის მშენებლობისას დავრბოდი.

— რომ არ ირბინო?

— ზამთარი მომისწრებს და მერე ტუალეტში ბიდეს გამოცვლა ჩამივარდება.

— ბიდეზეც ნებართვაა საჭირო?

— ჯერ არა, მაგრამ საქმე ისე მიდის, მაგასაც მალე მოითხოვენ.

— ჰე ბიჭო, მიდი დაასწარი!!!

**ოტია ჩართოლანი**

გაკვირვების უფლება

# დიაპაზონი — 100-დან 107360-მდე!

**აქვთ საქონელი ურიცხვიო — კი, მართლაც აქვთ, ოღონდ ვერვისგან ანაწონებიო, ვერ ვიტყვით: არის ერთი გაზეთი, რომელიც მკითხველებში გვარიანი გასავალ-გამოსავალით სარგებლობს და ძლიერთა ამა ქვეყნისა ყოველკვირეულად „უწონის“ ყოველგვარ ქონებას — უძრავ-მოძრავსა თუ ლარ-დოლარებში გამოხატულს; უწონის იმდენად, რამდენადაც ძლიერნი იგინი თავიანთი დეკლარაციებით ამის საშუალებას იძლევიან...**

ჩვენ ადრეც გამოგვითქვამს გაკვირვებაცა და აღშფოთებაც იმ ანაზღაურებითი უსამართლობის გამო, რაიც გამეფებულა ჩვენს ეკონომიკურად მდგრადად (და სწრაფად!ძ განვითარებად, დემოკრატიულ, აგრეთვე რეფორმებით მთელ მსოფლიოში სახელგანსმენილ ქვეყანაში; რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ განსხვავებას საცოდავ 100-ლარიან პენსიებსა, რიგითთა ხელფასებსა და დიდკაცთა-დიდქალთა ხელფასებს შორის, ანუ ერთის მხრივ დაბალ სამნიშნა და მეორეს მხრივ ოთხნიშნა, ხუთნიშნა რიცხვებით გამოხატულ ჯამაგირებს შორის. ნეტავ ასეთი „გამოცდილებისა“ თუ „რეფორმის“ გადასაღებადაც ჩამოდიან (ან ჩამოსასვლელ რიგში დგებიან ძზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები?..



ოთხნიშნა და ხუთნიშნა რიცხვებით გამოთქმული ლაროვანი ხელფასები ვახსენე, მაგრამ თუ ექვსნიშნაც არსებობდა, ნამდვილად არ ვიცოდი! იმ ყოველკვირეული გაზეთის ბოლო ნომრის ცნობით საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას წელიწადში 107360 ლარი ჰქონია ჯამაგირი! ასე რეკორდულს დღეაქამომდე არ გადავყრივარ; კაცო, დღეში თითქმის 300 ლარი გამოდის (სამი საპენსიო თვიური თანხის ოდენაძ და ერთ დღეში, ზამთრის მოკლე იქნება თუ გინდაც ზაფხულის იმაზე გრძელი, ამდენს რას აკეთებს, დავიჯერო, 300 ლარისას ხალხს იჭერს?

საერთოდ, იმ „გამოქვეყნებადი“ დეკლარაციების გაცნობისას, განცვიფრებას ვერ აუდიხარ: როგორ მოასწრეს ამ 30-40 წლის „გოგო-ბიჭმა“ მინისტრებმა და სხვა დიდჩინოსნებმა სულ რაღაც შვიდწლიან (2003-დან ათვლილძ უახლეს (სააკაშვილის!ძ წელთაღრიცხვაში ამხელა საცხოვრებელი ფართების, მიწის ნაკვეთების, ავტოფარეხების, თითოეულ ოჯახში ორ-ორი ავტომობილის (ქმარს ცალკე, ცოლს ცალკე, ან მამას ცალკე, შვილს ცალკეძ, საბანკო ანგარიშების დაგროვება? თანაც კორუფციადამარცხებულ სახელმწიფოში?..

ხალხო, სწორად გამიგეთ, განა მშურს მაგათი, რაც მოიპოვ-მოიხვეჭეს, შეერგოთ (ირგებენ კიდეცძ, მაგრამ გაკვირვების უფლებაც აღარ დავიტოვო?..

ახლა ხელისუფლება პენსიონერთათვის 5 ლარის დამატებითა თუ გაზრდით „იმუქრება“ (ვენაცვალე დამატებასა და გაზრდაში!ძ და ნახავთ აგერ, ფინია ტელეარხები როგორი პიარ-კამპანიით გააფორმებენ ამ ღირსშესანიშნავ და სააკაშვილისათვის **მიშანდობლივ** აქტს! არადა, მომატებულ-გაზრდილი 105 ლარიდანაც დიდ-დიდი ჩინოვნიკების ხელფასებამდე „რა შორი გზაა, რა აღმართია!“..

**თამაზ ილმელი**

კლიმატი

# ჩამოცხა დედამიწაზე ბოლო დროს...

**დედამიწაზე კლიმატის გლობალური დათბობა ის თემაა, რომლითაც ყველა ქვეყანა ერთიანადაა სისხლხორცეულად დაინტერესებული, რადგან ყველას ერთნაირად მძიმე ტვირთად აწვება.**



ცოტა ხნის წინათ გაეროს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში, თავად ორგანიზაციის გენერალური მდივნის პან გი მუნის თავკაცობით კლიმატის გლობალური ცვლილებებისადმი მიძღვნილი მეტად წარმომადგენლობითი ფორუმი გაიმართა, რომელსაც 120 სახელმწიფოს ხელმძღვანელი, ან მათი სრულუფლებიანი წარმომადგენელი დაესწრო. სამიტის მონაწილეებს ორგანიზატორებმა მეტად საგულისხმო მონაცემები მიაწოდეს.

თქმა არ უნდა, შთამბეჭდავი ციფრებია, თუმცა, როგორც თავად გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა განაცხადა, მას სურდა კიდეც დამსწრეთა შოკში ჩაგდება, რათა მათ საფრთხის საშიშროება სრულად გაესიგრძეგანებინათ.

### სიცოცხლის ორი გრადუსი

ბოლო ასი წლის განმავლობაში დედამიწის კლიმატი ცელსიუსის 0,75 გრადუსით დათბა, თანაც ყველაზე მეტად ტემპერატურამ ბოლო დროს მოიმატა. მაგალითად, 1850 წლიდან მოყოლებული, ორიათასიანი წლები ყველაზე თბილი იყო. გაეროს სამთავრობათშორისი ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, დათბობას 90 პროცენტით ატმოსფეროში ანთროპოგენური სათბური გაზების, პირველ ყოვლისა ნახშირწყალბადის გამოფრქვევა განაპირობებს. დღესდღეობით ნახშირორჟანგის ატმოსფეროში კონცენტრაცია ყველაზე მაღალია ბოლო 800 ათასი წლის მანძილზე!

ექსპერტთა დასკვნა ასეთია: თუკი დედამიწის ატმოსფეროს ტემპერატურა კიდევ ორი გრადუსით მოიმატებს, კლიმატის მექანიზმი სრულად მოიშლება: გლობალურ მასშტაბს მიიღებს მსოფლიო ოკეანის დონის აწევა, გვალვები, უძლიერესი გრიგალები და ქარბორბალები... მერე დედამიწის „დაშოშმინება“ შეუძლებელი იქნება. თუ მოვლენები ამ სცენარით წარიმართა, აპოკალიფსი 2030-2050 წლებში დადგება.

**ინფორმაცია თემაში**

**მსოფლიო ეკონომიკამ, სტიქიის შემოტევათა გამო, მარტო 2008 წელს 200 მილიარდი დოლარის ზარალი განიცადა. შედარებისთვის ხაზი გაუსვეს იმ გარემოებასაც, რომ წინა 2007 წელს, ზარალმა „მხოლოდ“ 82 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო პროგნოზის თანახმად, 2030 წლისთვის ეს სავალალო მაჩვენებელი 340 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება!**

**„გვალვის, ეპიდემიების, წყალდიდობების, მიწისძვრების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგებს, რომლებიც დედამიწის კლიმატის გლობალური ცვლილებებითაა გამოწვეული, უკვე განიცდის 325 მილიონი კაცი. პროგნოზების თანახმად, მსხვერპლთა რიცხვი ყოველწლიურად მოიმატებს.**

### სანქციები „ურჩთა“ მიმართ

ანთროპოგენური სათბურის გაზების ატმოსფეროში გაფრქვევის მთავარი წყაროებია სამრეწველო საწარმოები, თბოელექტროსადგურები, შინაურ ცხოველთა ცხოველმოქმედების ნარჩენები, ავტომანქანების გამონაბოლქვი და ა.შ. როგორ უნდა ებრძოლოს ამას კაცობრიობა? ძროხების ერთიანად დახოცვა არ ივარგებს, მაშასადამე შესამცირებელია სხვა დანარჩენი. საამისოდ 1997 წელს გაერომ ე.წ. კიოტოს პროტოკოლი შექმნა, რომლის თანახმად მისმა ხელმომწერმა ყველა ქვეყანამ მრეწველობის გამონაბოლქვთა 5 პროცენტით შემცირება იკისრა. 2012 წლამდე მოქმედ ხელშეკრულებას ჯერჯერობით რაიმე საგრძნობი შედეგები არ გამოუღია, თანაც მას ყველა ქვეყანა არც შეუერთდა, მათ შორის ისეთი „ატმოსფეროს დამბინძურებლები“, როგორებიც ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი არიან. თუმცა კიოტოს პროტოკოლის შესრულება ხელმომწერი ქვეყნებისთვის სავალდებულო მაინც არ არის, ამიტომ ახალ ხელშეკრულებაში „უარის მთქმელი ქვეყნების“ მიმართ აუცილებლად სანქციები იქნება გასათვალისწინებელი.

**დავით მერიშვილი**

რეპლიკა

# ვნებანი საფოსტონი

**დიდი ხანია — მართლა დიდი ხანია, — რაც საფოსტო განყოფილებისთვის არ მიმიკითხავს და არც საფოსტო ყუთით მისარგებლია; თურმე სადღაა, ერთიცა და მეორეც სანთლით საძებარი გამხდარა... როგორც იქნა, მივაკვლიე ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე ერთ საფოსტო განყოფილებას რაიონული გაზეთისთვის ოთხი კორესპონდენციის გასაგზავნად. ოთხი უმარკო კონვერტით მივედი (რომელ ჯიხურშიც არ ვიკითხე, მარკები არსად არ ჰქონდათ), თითოეულში ორფურცლიანი (მხოლოდ!) კორესპონდენცია იდო.**

ახალგაზრდა სიმპათიურმა თანამშრომელმა ქალმა აწონა გზავნილები, რაღაც ცნობარში ჩაიხედა და ყოველ მათგანს 4.30 დააწერა, რაც თურმე (როგორც მაშინვე გამოირკვაძ 4 ლარსა და 30 თეთრს ნიშნავდა. ტარანი ხომ ანგარიშით არის და ასე დამიჯდა 17 ლარი და 20 თეთრი 4 ერთნაირი კონვერტის გაგზავნა ახლო რაიონში (ნეტავ მიიღებდნენ მაინც...ძ.

— ადრიდა? ადრიდა ფოსტა ფოსტობდის, კონვერტი კონვერტობდის, მარკა მარკობდის, — ასეც იტყოდა „მგზავრის წერილების“ გმირი მოხევე, ახალ **საქართველოს** რომ მოსწრებოდა...

ჩემი ჩვიდმეტლარიანი ვნება ეგების არც ღირდა გაზეთის ფურცლებზე გამოსატანად, მაგრამ დაე, მასობრივმა მკითხველმა ასეთ მაგალითზეც იცოდეს, თუ რა **ძვირ-ფასი** გახდა ცხოვრება ჩვენს რეფორმირებულ, რეფორმების წყალობით ბევრნაირად შეჭირვებულ, მაგრამ მაინც ძვირფას ქვეყანაში... „მაინც ჩემი გოგონა ხარ, ჩემი დარდი ხარ“...

**ლუკა გორგაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აშშ არჩევნებს აფხაზეთში ლეგიტიმურად არ მიიჩნევს

**ამერიკის შეერთებული შტატები არ ცნობს არჩევნების შედეგებს, რომლებიც გაიმართა აფხაზეთში გასულ კვირას. სეპარატისტული რეგიონი მეორედ ირჩევს თავის პრეზიდენტს მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობა სამი წლის წინათ.**

„ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ მიიჩნევს კანონიერად 26 აგვისტოს არჩევნებს აფხაზეთში“,– განაცხადა ორშაბათს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა. ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს რუსეთს „გამოიყვანოს ჯარები პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ კონფლიქტამდე“.

ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრ ანქვაბმა გაიმარჯვა პრეზიდენტის არჩევნებში ყოფილ ქართულ პროვინციაში, მიიღო ხმების 55 პროცენტი, როგორც ამის შესახებ იტყობინება აფხაზეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „აფსნიპრესი“ საარჩევნო კომისიის მონაცემებზე მითითებით.

ევროკავშირი და ნატო გამოვიდნენ განცხადებებით, რომლებშიც აღნიშნულია, რომ არ აღიარებენ არჩევნების შედეგებს და მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტს. აფხაზური არჩევნები არის „ფარსი“, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ცნობაში, რომელიც გამოქვეყნდა 27 აგვისტოს მის ოფიციალურ საიტზე.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ებრძოდნენ ანქვაბს არჩევნებში, რომელიც გაიმართა პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის მოსკოვის საავადმყოფოში გარდაცვალების შემდეგ. ბაღაფში პრეზიდენტად ხელმეორედ არჩეული იყო 2009 წელს.

აფხაზეთმა გამოაცხადა საქართველოსგან თავისი დამოუკიდებლობა 90-იანი წლების დასაწყისის ომის შემდეგ, რამაც ასეული ათასობით კაცი ლტოლვილად აქცია. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმიამ გაანადგურა საქართველოს არმია ომის დროს მეორე გამოყოფილი რეგიონის სამხრეთი ოსეთის გამო, რის შედეგადაც რუსეთმა აღიარა ორივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და დათანხმდა დაიცვას მათი საზღვრები. საქართველო ორივე რეგიონს თავის ტერიტორიად მიიჩნევს.

„ევროკავშირი ვერ ხედავს ვერანაირ ლეგალურ ან კონსტიტუციურ საფუძველს ამგვარი არჩევნების მოწყობისთვის“,– განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში კეტრინ ეშტონმა. ევროკავშირი მხარს უჭერს „საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“,– განაცხადა ეშტონმა თავის გზავნილში.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ „ასეთი არჩევნების გამართვა ხელს არ უწყობს საქართველოში სიტუაციის მშვიდობიან მოწესრიგებას“.



Bloomberg

# საქართველო რუსეთისგან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესების დაცვას მოითხოვს

***სექტემბრის შუა რიცხვებისთვის დანიშნულ მოლაპარაკებაზე მოხსნის თუ არა საქართველო თავის ვეტოს რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით?***

ვერა ქობალია: ჩვენ სულაც არა ვართ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის წინააღმდეგები. ჩვენ სწორად ვერ გაგვიგეს.

ნებისმიერმა ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმაც, რომელიც ცდილობს შევიდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, უნდა დაიცვას წესები. ესე იგი საქართველო-რუსეთის საზღვარზე, რომელიც აღიარებულია მრავალი ქვეყნის მიერ, კერძოდ, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერაც, უნდა არსებობდეს კონტროლი. ეს არის ეკონომიკური და არა პოლიტიკური პირობები: საქონელი, რომელიც გადაკვეთს საზღვარს, უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც ეს ხდება, ვთქვათ, ფინეთ-რუსეთის საზღვარზე. ამას გარდა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის ფაქტიც, რომ ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ეს საკითხი განხილვას არ ექვემდებარება. მე თავად აფხაზეთში დავიბადე და აი უკვე 18 წელია, არ შემიძლია შევიდე საკუთარ სახლში, რომელშიც ამჟამად სხვები ცხოვრობენ. ეს ნიშნავს, რომ მოსკოვთან შეთანხმებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორია... მაგრამ შეთანხმება შესაძლებელია. სამწუხაროდ, რუსეთს ჩვენთან მოლაპარაკების ერთ მაგიდაზე დაჯდომაც კი არ სურს, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ შვეიცარიის საშუამავლო მომსახურებას. ძალიან მძიმეა აწარმოო მოლაპარაკება ვინმესთან, რომელიც შენ არ გაღიარებს სახელმწიფოდაც კი... ჩვენთვის ხელსაყრელიც კია, რომ რუსეთი შეუერთდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას.




***– მოლაპარაკება გრძელდება. როგორც წარმოგვიდგენია, მოსკოვი განიხილავს ემბარგოს მოხსნის შესაძლებლობას თქვენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე?***

– არა. საერთოდ, მათ თავად სურთ გადაწყვიტონ, თუ რომელი ქართული კომპანიები დაუშვან რუსეთის ბაზარზე, აქედან გამომდინარე ყოველგვარი შედეგებით კორუფციისა და ბიუროკრატიის სახით. ჩვენთვის კი თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი პრინციპულია. ამის გარდა უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში არიან დიდი რუსი ინვესტორები, მაგალითად, ბანკი „ვი-თი-ბი“. ჩვენ ასევე ვაწარმოებთ ელექტროენერგიის ექსპორტს რუსეთში.

***– 2009 წლის რეცესიის მომენტიდან, როდესაც ეკონომიკურმა ვარდნამ 3,8 პროცენტი შეადგინა, საქართველოში ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდა?***

– მიმდინარე წელს ეკონომიკური ზრდა შეადგენს დაახლოებით 6,5 პროცენტს, განსაკუთრებით სწრაფად განვითარებადი ტურიზმის წყალობით: ჩვენ ამ წელს სამ მილიონ ტურისტს ველოდებით – 2010 წლის 2,1 მილიონ კაცთან შედარებით. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი ამჟამად ტურიზმის განვითარებაა ზამთრის პერიოდში. ჩვენ ვაპირებთ შევიძინოთ „არტ“-ის ავიალაინერები, რომლებიც დედაქალაქ თბილის მთიან რეგიონებთან დააკავშირებს. ჩვენ ვთანამშრომლობთ კომპანია „პომასთან“, რომელიც სამთო ამწეების მომწოდებელია. ასე რომ, ჩვენ გვექნება თვითმფრინავები, ფრანგული საბაგირო გზები, არ გვყოფნის მხოლოდ ფრანგი ტურისტები!

La Tribune.fr

## დედამიწის ზურგზე



**„მსოფლიო დედაქალაქად“ აირჩიეს ლონდონი: პეკინს არ ეყო უცხოელები, ვაშინგტონს კი – ქარიზმა**

გამოკვლევა მიმდინარეობდა 9 ქალაქის მიხედვით: ესენია პეკინი, შანხაი, ტოკიო, დელი, მუმბაი, მეხიკო, ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, ლონდონი. ქალაქებს აფასებდნენ ხუთი კრიტერიუმის მიხედვით: პოლიტიკური გავლენა, კეთილდღეობა, განათლება, ეკონომიკური კავშირები, კულტურა. პირველი კრიტერიუმით ლიდერობს ვაშინგტონი, ყველა დანარჩენით – ლონდონი და ნიუ-იორკი.

* * *

**ლიბიის ოპოზიციამ დაიწყო ეთნიკური წმენდა: განურჩევლად ანადგურებენ შავკანიანებს**



აფრიკის კავშირი არ აღიარებს ოპოზიციურ ხელისუფლებას შავი აფრიკელების გენოციდის გამო, რომლებსაც ლიბიაში აღიქვამენ, როგორც კადაფის დაქირავებულებს და ხოცავენ მათ განურჩევლად. ამ დროს მეამბოხეები აგრძელებენ ნადირობას პოლკოვნიკზე და მის ოჯახზე: მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი, როგორც ჩანს, მოკლულია. კადაფიმ მოასწრო თავისი ორსული ქალიშვილისა და ცოლის, ორ ბავშვთან ერთად საზღვარგარეთ გაყვანა.

* * *

**იაპონიის პრემიერ-მინისტრად არჩეულია ძიუდოისტი და „ქორი“ ესიხიკო ნოდა**

ნოდა წინა დღით აირჩიეს მმართველი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ, რომელსაც ხმების უმრავლესობა აქვს პარლამენტის ქვედა პალატაში. მრჩეველთა პალატაში უმრავლესობა ოპოზიციას ეკუთვნის და ამიტომ ხმის მიცემის შედეგები ზემო და ქვედა პალატებში შეიძლება განსხვავებული იყოს. ამ შემთხვევაში უპირატესობას ფლობს ქვედა პალატის გადაწყვეტილება.




* * *

**თურქეთში 103 რუსი ტურისტი მოიწამლა. „ეს შეიძლება შეემთხვეს ყველას“, – ამშვიდებდნენ მათ სასტუმროში**

ათობით რუსეთელმა, რომლებიც სასტუმრო „ალარა პარკში“ ცხოვრობენ ალანიეში, მიმართეს ექიმს ჩივილებით პირღებინებაზე, დიარეაზე და მაღალ ტემპერატურაზე. მოწამვლის მიზეზების გამორკვევამდე ტურისტულმა ოპერატორმა შეაჩერა საგზურების გაყიდვა ამ სასტუმროში. ყველა დაზარალებულმა მიიღო ან ღებულობს სამედიცინო დახმარებას, განაცხადეს „ინგოსტრახში“.



**1937 წლის გამოცანის ამოხსნა**

# ენვერ ხოჯა

# ხრუშჩოვმა სტალინი ორჯერ მოკლა



ყურადღებამ, როგორითაც ის ისმენდა ჩვენს განმარტებებს ჩვენს ახალ ეკონომიკაზე და მისი განვითარების გზებზე, ჩვენზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ამ პრობლემებზე საუბრის დროს, ისე მასთან ყველა საუბრებში, მეხსიერებაში ჩამეჭედა, ყოველივე სხვასთან ერთად, მისი ერთი შესანიშნავი თვისება: ის არასოდეს იძლეოდა ბრძანებებს და არ გახვევდა თავის აზრს. ის საუბრობდა, გირჩევდა, შემოჰქონდა სხვადასხვა წინადადება, მაგრამ ყოველთვის უმატებდა: „ეს ჩემი აზრია“, „ჩვენ ასე ვფიქრობთ. თქვენ, ამხანაგებო, ნახეთ და გადაწყვიტეთ თვითონ, თქვენი კონკრეტული ვითარების შესაბამისად, თქვენი პირობების მიხედვით“. მას ყველა პრობლემა აინტერესებდა.

როდესაც მე ვლაპარაკობდი ტრანსპორტის მდგომარეობასა და დიდ სიძნელეებზე, რისი დაძლევაც ჩვენ გვიწევდა, სტალინი შემეკითხა:

— თუ აშენებთ პატარა გემებს ალბანეთში?

— არა, — ვუპასუხე მე.

— ნაძვები არის თქვენში?

— არის, — ვუპასუხე, — მთელი ტყეებია.

— მაშინ, — მითხრა მან, — თქვენ კარგი ბაზა გაქვთ მომავალში საზღვაო ტრანსპორტის მარტივი საშუალებების მშენებლობისთვის.

საუბრის გაგრძელებისას შემეკითხა, როგორ არის საქმე ალბანეთში სარკინიგზო ტრანსპორტთან დაკავშირებით, როგორი ფულის ნიშნები გვაქვს, როგორი მაღაროები და შახტები და თუ ხდებოდა ალბანეთის მაღაროებისა და შახტების ექსპლუატაცია იტალიელების მიერ და ა.შ.

მე ვუპასუხე შეკითხვებს და როდესაც საუბარს ვამთავრებდით, თქვა:

— ალბანეთის ეკონომიკა ამჟამად ჩამორჩენილ მდგომარეობაშია. თქვენ, ამხანაგებო, ყველაფერს ანბანით იწყებთ. ამიტომ, თქვენს ბრძოლასა და ძალისხმევასთან ერთად, ჩვენც, ჩვენი მხრიდან, შესაძლებლობის ფარგლებში, დაგეხმარებათ, რომ აღადგინოთ ეკონომიკა და განამტკიცოთ თქვენი არმია. ჩვენ, — მითხრა სტალინმა, — განვიხილეთ თქვენი თხოვნები დახმარების შესახებ და შევთანხმდით დავაკმაყოფილოთ ისინი. ჩვენ დაგეხმარებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სათანადოდ აღჭურვაში, არმიის განმტკიცებაში, განათლებისა და კულტურის განვითარებაში. ფაბრიკებსა და სხვა მოწყობილობას მოგაწვდით კრედიტით, და თქვენ მას გადაგვიხდით, როდესაც გექნებათ შესაძლებლობა, შეიარაღებას კი მოგცემთ უფასოდ, იგი უსასყიდლოა. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ კიდევ ბევრი რამე გჭირდებათ, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენი შესაძლებლობანი ასეთია, ჩვენც ხომ ღარიბები ვართ ომის ნგრევის გამო.

— ამავე დროს, — განაგრძო ამხანაგმა სტალინმა, — ჩვენ დაგეხმარებით სპეციალისტებით ალბანეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პროცესის განმტკიცებისთვის. ნავთობის მოსაპოვებლად, ვფიქრობ, გამოგიგზავნოთ აზერბაიჯანელი სპეციალისტები — ისინი ხომ შესანიშნავი ოსტატები არიან. თავის მხრივ, ალბანეთმა გამოგვიგზავნოს საბჭოთა კავშირში მუშებისა და გლეხების შვილები სასწავლებლად სამშობლოს შემდგომი წინსვლის მიზნით.

* * *

მოსკოვში ყოფნის დღეებში, სტალინთან ყოველი შეხვედრისა და საუბრის შემდეგ ჩვენ სულ უფრო და უფრო ვხედავდით ამ გამოჩენილ რევოლუციონერში, ამ დიდ მარქსისტში ადამიანსაც უბრალოს, გულისხმიერს და ბრძენს — ნამდვილ ადამიანს. მას მთელი გულით უყვარდა საბჭოთა ხალხი, მას მიუძღვნა მან მთელი თავისი ძალები და ენერგია, მისი გონება და გული ამ ხალხით იყო აღსავსე. ეს თვისებები შეიძლებოდა შეგენიშნა მასთან ნებისმიერ საუბარში, ნებისმიერ ღონისძიებაში, რომელსაც ის ახორციელებდა — ყველაზე მნიშვნელოვანიდან ყოველდღიურობამდე.

ჩვენი მოსკოვში ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ სტალინთან და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, ვესწრებოდი მოსკოვში ცენტრალურ სტადიონზე სრულიად საკავშირო ფიზკულტურულ მანიფესტაციას. როგორი გატაცებით ადევნებდა სტალინი თვალყურს ამ ღონისძიებას! ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში უმზერდა ის მანიფესტაციის მონაწილეთა მოქმედებას, და, მიუხედავად იმისა, რომ მანიფესტაციის ბოლოს წვიმა წამოვიდა და რამდენჯერმე სთხოვა მოლოტოვმა წასულიყვნენ, ის ბოლომდე ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ფიზკულტურელთა ვარჯიშებს, ხუმრობდა, ესალმებოდა მათ ხელით.

მახსოვს, ვარჯიშის ბოლოს გაიმართა მასობრივი კროსი. მორბენლებმა რამდენჯერმე შემოურბინეს სტადიონის მინდორს. როდესაც შეჯიბრება მთავრდებოდა, ტრიბუნის წინ გამოჩნდა ჩამორჩენილი მაღალი მორბენალი. ძლივსღა მიათრევდა ფეხებს, თუმცა მაინც ცდილობდა ერბინა. თავიდან ფეხებამდე სველი იყო. სტალინი მისჩერებოდა მორბენალს ღიმილით, რაც სიბრალულსა და მშობლიურ სითბოს გამოხატავდა.

„საყვარელო, — მიმართა მან მას გულში, — წადი სახლში, წადი, ცოტა დაისვენე, ჭამე და ისევ მოდი! შეჯიბრება სირბილში ისევ იქნება...“

ჩემს მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა სტალინის ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჩვენი ხალხისადმი, მისი სურვილი, რაც შეიძლება მეტი გაიგოს ალბანელი ხალხის ისტორიასა და ტრადიციებზე. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ვახშმობის დროს, რომელიც სტალინმა გამართა კრემლში ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად, მასთან მქონდა მეტად საინტერესო საუბარი ალბანელი ხალხის წარმომავლობისა და ენის შესახებ.

— საიდან მოდის თქვენი ხალხი და თქვენი ენა, — შემეკითხა ის, კერძოდ, — ახლოს ხომ არ არის თქვენი ხალხი ბასკებთან? არ მჯერა, — განაგრძო შემდეგ სტალინმა, — რომ ალბანელი ხალხი შორეული აზიიდან მოდიოდეს, ის არც თურქული წარმომავლობისაა, ალბანელები ხომ თურქებზე ძველი ხალხია. იქნებ თქვენს ხალხს საერთო ფესვები აქვს ეტრუსკებთან, რომლებიც დარჩნენ თქვენს მთებში, იმიტომ რომ სხვები, ვინც იტალიაში წავიდნენ, ნაწილობრივ შეერწყნენ რომაელებს, ნაწილი კი იბერიის ნახევარკუნძულზე გადავიდა.

მე ვუპასუხე სტალინს, რომ ჩვენი ხალხის წარმომავლობა ძალიან ძველია, მისი ენა კი — ინდოევროპულია. ბევრი თეორიაა ამ საკითხზე, მაგრამ სიმართლეა, რომ ჩვენ მოვდივართ ილირიელებისგან. ჩვენ ილირიული წარმომავლობის ხალხი ვართ. არის აგრეთვე თეორია, რომელიც აყენებს დებულებას იმის შესახებ, რომ ალბანელი ხალხი ბალკანების ყველაზე ძველი ხალხია და რომ ალბანელების ძველი, ჰომეროსამდელი წინაპრები პელასგები არიან.

თეორიას პელასგების შესახებ, განვაგრძე ახსნა, ავითარებდა ბევრი მეცნიერი, განსაკუთრებით გერმანელი მეცნიერები. ისინი მიუთითებენ ზოგიერთ სიტყვებზე, რომლებიც ნახსენებია „ილიადასა“ და „ოდისეაში“ და დღემდე იხმარება ალბანურ ენაში, როგორც, მაგალითად, „გური“, რაც ნიშნავს „ქვას“. ჰომეროსი ამ სიტყვას აყენებს ბერძნული სიტყვის წინ და ამბობს „გური-პეტრა“. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ძველი წინაპრები იყვნენ პელასგები, რომლებიც ჯერ კიდევ ბერძნებამდე სახლობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ყოველ შემთხვევაში, არ გამიგონია, რომ ალბანელები და ბასკები ერთი წარმომავლობისა იყვნენ, ვუთხარი სტალინს. იქნებ, არის ისეთი თეორიაც, რაზეც თქვენ ამბობდით, რომ ეტრუსკების ნაწილი დარჩა ალბანეთში, მეორე ნაწილი იტალიაში გადასახლდა, მესამე კი — იბერიის ნახევარკუნძულზე, ესპანეთში. შეიძლება ამ თეორიასაც ჰყავდეს თავისი მომხრეები, მაგრამ მე საქმის კურსში არ ვარ.

— ჩვენთან კავკასიაში არის ადგილი, რომელსაც ალბანეთი ჰქვია, — მითხრა სტალინმა. — აქვს ამას დამოკიდებულება თქვენს ალბანეთთან?

— ეს მე არ ვიცი, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი ალბანელი მრავალი საუკუნის განმავლობაში, მკაცრი ოტომანიის უღელქვეშ, ოსმალი სულთნებისა და ფადიშაჰების ომებისა და ლაშქრობების გამო, ხშირად იძულებული იყო დაეტოვებინა მშობლიური ადგილები და გადასახლებულიყო უცხოეთში, შეექმნა იქ მთელი სოფლები. ასე მოუწია ათასობით ალბანელს, რომლებიც ჯერ კიდევ XV საუკუნეში, ჩვენი ეროვნული გმირის სკანდერბეგის სიკვდილის შემდეგ, გადასახლდნენ სამხრეთ იტალიაში, სადაც დღემდე არის მთელი ზონები, რომლებიც დასახლებული არიან იტალიელი არბერეშებით, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 4-5 საუკუნეა უცხოეთში ცხოვრობენ, შეინარჩუნეს ენა და თავისი წინაპრების სამშობლოს წეს-ჩვეულებანი. ამავე დროს, — ვუთხარი სტალინს, — ბევრი ალბანელი საბერძნეთში გადასახლდა, სხვები — თურქეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ამერიკასა და ა.შ. თუმცა თქვენი ადგილის შესახებ, „ალბანეთი“ რომ ჰქვია, — ვუთხარი მე მას, — კონკრეტულად არაფერი ვიცი.

მაშინ სტალინმა რამდენიმე ალბანურ სიტყვაზე მკითხა. მას უნდოდა გაეგო, თუ რას ვუწოდებდით შრომის იარაღს, საოჯახო საქონელს და ა.შ. მე ალბანურად ვუპასუხე. ის ყურადღებით მიგდებდა ყურს, იმეორებდა სიტყვებს, ადარებდა მათ, აკეთებდა დაპირისპირებას შრომის იარაღების ალბანურ დასახელებასა და კავკასიელი ალბანელების ეკვივალენტებს შორის. დროდადრო მიმართავდა მოლოტოვსა და მიქოიანს მათი აზრის გასაგებად. გამოდიოდა, რომ დაპირისპირებული სიტყვების ფუძეებში არაფერი იყო მსგავსი.

ამ დროს სტალინმა ღილაკს დააჭირა თითი და რამდენიმე წამში შემოვიდა გენერალი, რომელიც სტალინთან მუშაობდა, მეტად აკურატული მაღალი სამხედრო. იგი მეტად კეთილგანწყობით და მეგობრულად გვეკიდებოდა.

— ამხანაგ ენვერ ხოჯასთან ერთად თავს ვიმტვრევთ ერთ ამოცანაზე და ვერ ამოგვიხსნია, — ღიმილით უთხრა სტალინმა გენერალს. — დაუკავშირდით, გეთაყვა, პროფესორ (და მან დაასახელა გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერი და ისტორიკოსი, რომლის სახელსაც ვერ ვიხსენებ) და შეეკითხეთ ჩემი სახელით, არის თუ არა რაიმე კავშირი კავკასიელ ალბანელებსა და ალბანეთს შორის.

გენერლის გასვლის შემდეგ სტალინმა აიღო ფორთოხალი, ასწია ის მაღლა და თქვა:

— რუსულად ამას ჰქვია „აპელსინი“. ალბანურად?

— პორტოკალ, — ვუპასუხე მე.

მან კვლავ გააკეთა დაპირისპირება, გაიმეორა სიტყვები ორივე ენაზე და მხრები აიჩეჩა. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ შემოვიდა გენერალი.

— პროფესორისგან მივიღე პასუხი, — გვითხრა მან. — ის ამბობს, რომ არ არის რაიმე საბუთი, რომელიც მიგვითითებდა რაიმე კავშირის შესახებ კავკასიელ ალბანელებსა და ალბანეთს შორის. მაგრამ, დაუმატა მან, უკრაინაში, ოდესის ოლქში არის რამდენიმე სოფელი (დაახლოებით 7) ალბანელებით დასახლებული. ამის შესახებ პროფესორს აქვს ზუსტი ცნობები.

ჩემი მხრიდან, უმალვე მივეცი მითითება ჩვენს ელჩს მოსკოვში ეზრუნა იმისთვის, რომ ზოგიერთ სტუდენტს, რომლებიც ისტორიის სპეციალობით ემზადებოდნენ საბჭოთა კავშირში, პრაქტიკა გაევლო ამ სოფლებში და შეესწავლა საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ და როდის ჩამოვიდნენ ოდესაში ეს ალბანელები, შეინარჩუნეს თუ არა მათ ენა და თავისი წინაპრების წეს-ჩვეულებები და ა.შ.

— სტალინმა, როგორც ყოველთვის, ყურადღებით მოგვისმინა და თქვა:

— კარგი იქნება, ძალიან კარგი. გაიარონ პრაქტიკა თქვენმა სტუდენტებმა იქ, თანაც მათთან ერთად ჩვენებიც იყვნენ.

— ალბანოლოგიური მეცნიერებანი, — ვუთხარი სტალინს ამ გულღია საუბრის დროს, — წარსულში არ იყო განვითარებული, როგორც საჭიროა, და ამას უმთავრესად უცხოელი მკვლევარები აკეთებდნენ. ეს, ყოველივე სხვა რამის გარდა, ხელს უწყობდა ათასნაირი თეორიის გაჩენას ჩვენი ხალხის, ჩვენი ენის წარმომავლობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ყველა მათგანი ერთი აზრისაა — ალბანელი ხალხი და მისი ენა ძალიან ძველი წარმოშობისაა. თუმცა ზუსტ სიტყვას ამ პრობლემებზე იტყვიან ჩვენი ალბანოლოგები, რომლებსაც გულდასმით მოამზადებენ ჩვენი პარტია და ჩვენი სახელმწიფო, შეუქმნიან მათ მუშაობის ყველა სათანადო პირობას.

— ალბანეთი, — მითხრა სტალინმა, — უნდა იდგეს საკუთარ ფეხებზე, იმიტომ რომ მას ამისთვის აქვს ყველა შესაძლებლობა.

— ჩვენ აუცილებლად წავალთ წინ, — ვუპასუხე მას.

— ჩვენ, ჩვენი მხრიდან, მთელი გულით დავეხმარებით ალბანელ ხალხს, — თქვა სტალინმა, — იმიტომ, რომ ალბანელები — კეთილი ხალხია.

მთელი ვახშამი, რომელიც სტალინმა გამართა ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად, მიმდინარეობდა მეტად თბილ, გულითად, უშუალო ვითარებაში. პირველი სადღეგრძელო სტალინმა მიუძღვნა ჩვენ ხალხს, უსურვა ჩვენს ქვეყანას, ალბანეთის კომუნისტურ პარტიას შემდგომი წარმატებები და აყვავება. შემდეგ მან წარმოთქვა ჩემი, ხიუსნისა და ალბანეთის დელეგაციის ყველა წევრის სადღეგრძელო. მახსოვს, მოგვიანებით, როდესაც მას ველაპარაკებოდი ჩვენი ხალხის დიდ სიმტკიცეზე უცხოელების შემოსევების წინააღმდეგ ბრძოლაში, სტალინმა ჩვენ ხალხს გმირი ხალხი უწოდა და მეორედ წარმოთქვა მისი სადღეგრძელო. ჩვენს შორის უშუალო საუბრის გარდა ის დროდადრო მიმართავდა სხვებსაც, ხუმრობდა, ესალმებოდა მათ. ის ცოტას ჭამდა, მაგრამ წითელი ღვინით სავსე ჭიქა ახლოს ჰქონდა და ყოველთვის უჭახუნებდა, როდესაც წარმოითქმებოდა სადღეგრძელო.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 150, 151, 160

კალათბურთი

# დღეს ლიტვაში „ევრობასკეტი“ იწყება!

**რამდენიმე საათიც და საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველად ჩაებმება ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატში. დიახ, 16 საათსა და 30 წუთზე „კლაიპედა არენა“ „ჯვაროსანთა“ და ბელგიელთა სასტარტო შეხვედრას („დ“ ჯგუფიძ უმასპინძლებს და 20-დღიანი ვნებათაღელვაც დაიწყება.**



სასტუმრო „ამბერტონი“



„კლაიპედა არენა“

ქართველ გულშემატკივრებს თანამემამულეთა ბრძოლების პირდაპირ ტელერეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს, თუმცა კონტინენტური ფორუმის დებიუტანტებს მხარდაჭერა არც ბალტიისპირეთში მოაკლდებათ – ლიტვაში ავიარეისებით უკვე ათასამდე ქართველი ქომაგი გაემგზავრა.

რადგან იგორ კოკოშკოვის გუნდის მზადების შესახებ სისტემატურად გაწვდიდით ინფორმაციებს, მოდით, ამჯერად მხოლოდ იქაური ქალაქების, შესაბამისი სპორტული ბაზებისა და ჯგუფების შემადგენლობის შეხსენებით შემოვიფარგლოთ.

**„ა“ ჯგუფი. „პანევეჟის არენა“. 5684 ადგილი**. ესპანეთი, პოლონეთი, თურქეთი, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი.

**„ბ“ ჯგუფი. „შიაულიაი არენა“. 5500 ადგილი.** სერბეთი, იტალია, საფრანგეთი, ლატვია, გერმანია, ისრაელი.

**„გ“ ჯგუფი. „ალიტუს არენა“. 5500 ადგილი.** ჩერნოგორია, მაკედონია, ბოსნია, ხორვატეთი, საბერძნეთი, პორტუგალია.

**„დ“ ჯგუფი. „კლაიპედა არენა“. 5486 ადგილი.** სლოვენია, რუსეთი, საქართველო, ბელგია, უკრაინა, ბულგარეთი.

**მეორე ჯგუფური რაუნდი. „ვილნიუს არენა“. 11 000 ადგილი.**

**პლეი-ოფები და ფინალი. „კაუნას არენა“. 14 400 ადგილი.**

იმასაც გაუწყებთ, რომ ტურნირის დღეებში კლაიპედაში მოეწყობა ქართული ღვინის კვირეული, ხოლო მრავალფეროვან კულტურულ პროგრამას „სუხიშვილები“ დაამშვენებენ.

მოკლედ, ჰა ბურთი, ჰა მოედანი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ვაი „პედლებისაგან“

# ფრთხილად, ტრასაზე „მაღალია“

**ომარ ფხაკაძე, ემზარ გელაშვილი, ოთარ მჭედლიშვილი, პეტრე ჩევარდოვი... და მიხეილ სააკაშვილი.**

**დიახ, სახელოვან ქართველ ველოსიპედისტთა რიგებს ამ დღეებში ჩვენი ჩიტირეკია პრეზიდენტი შეემატა და მისი საბრძოლო ნათლობა, ოჯახის წევრებისა და წვრილმან-მსხვილმანი ჩინოვნიკების თანხლებით, ქუთაისის ქუჩებში მოხდა.**

**დეს ველომანია 30-კილომეტრიანი შესაბამისი ტრასით, კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ, თურმე, ჰოლანდიისა არ იყოს, ბათუმს, სამეგრელოსა და თბილისსაც კი „ეჭყანება“ ანალოგიური ფუფუნება.**

**რაღა გვიჭირს!**

**და ეს მაშინ, როცა რამდენიმე თვის წინათ უსახსრობის გამო სპორტული კარიერის შეწყვეტა აიძულეს ქართული ვე-**



**ამ ექსცენტრიკული პიროვნების სპორტულ-არაადეკვატურ გატაცებებს, თოვლში რომ იწყება და ზღვაში გრძელდება, უკვე კარგა ხანია შევეჩვიეთ, მაგრამ დასასრული რომ არ უჩანს?! დასასრული კი არა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, წინ არაერთი სიურპრიზი გველის.**

**მხოლოდ საქართველოს ძველ დედაქალაქს რომ ემუქრებოლოსპორტის იმედს, პერსპექტიულ ჭაბუკ დავით ასკურავას, რომელსაც საერთაშორისო სარბიელზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი „რკინის რაშით“ ასპარეზობაც კი არ აღირსეს.**

**ეს XXI საუკუნეში, სააკაშვილის ეპოქის საქართველოში მოხდა!**

**გია პლატონიშვილი**

უეფას სახელით

# სტადიონი მათი სახლია

**2003 წელს სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში უეფამ ავსტრიის ქალაქ გრაცში უსახლკაროთა პირველი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი მოაწყო და მას შემდეგ აღნიშნულმა პროექტმა არნახული მასშტაბები შეიძინა.**

ამ ტურნირმა სტიმული მისცა ეროვნულ ფედერაციებს ანალოგიური შეჯიბრებები თავიანთ ქვეყნებშიც გაემართათ. მართლაც, ყოველწლიურად სარბიელზე 30 ათასზე მეტი „ბომჟი“ გამოდის, ხოლო შემდეგ მონაწილეთა 70 პროცენტი აღიარებს, რომ მათი ცხოვრება გაცილებით საინტერესო გახდა.

ახლახან პარიზში მეცხრე უნიკალური სოციალური ღონისძიება დასრულდა, რომელშიც მედლები 64-მა გუნდმა გაითამაშა. მათ მარსის მოედანზე, ეიფელის კოშკის ჩრდილში გადატანილ 300-ზე მეტ ბრძოლაში გამოავლინეს უძლიერესები.

**გაუწყებთ ფინალური შეხვედრების შედეგებს.**

**ქალები.** კენია – მექსიკა 4:3.

**კაცები.** შოტლანდია – მექსიკა 4:3.



**გაისად უსახლკაროთა საიუბილეო X „მუნდიალს“ მეხიკო უმასპინძლებს.**

კრივი

# „ვერცხლი“ დუბლინიდან




**ირლანდიის დედაქალაქში დასრულებულ ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე ქართულ დელეგაციას ერთადერთი მედალი 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე ვანეტიკ ერანოსიანმა მოუტანა.**

რამდენიმე მეტოქის დამაჯერებლად დამარცხების შემდეგ მან ფინალური ბრძოლა ქულებით – 9:16 დათმორუს ვასილ ვეტკინთან და საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა.

ინტერნეტიდან

## რამე აწუხებს თუ?!

**მალიბუს განთქმულ პლაჟზე ბექჰემების ოჯახი წლეულს არასრული შემადგენლობით ნებივრობს, რადგან ვიქტორია ადამსი ამასწინანდელი მშობიარობის დროს მიღებულ ზურგის მძიმე ტრავმას იშუშებს.**



საყვარელი მეუღლისა და ნანატრი ჩვილი გოგონას არყოფნაში დევიდს მხარს ვაჟთა ტრიო უმშვენებს, რომლებიც, მამის მსგავსად, უკვე შესანიშნავად ფლობენ სერფინგის საიდუმლოებებს და ოკეანის ტალღებში პროფესიონალივით ნავარდობენ.

## ურჩი ლას-ვეგასი

**2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას ოთხი ამერიკული ქალაქი აპირებდა: ნიუ-იორკი, ჩიკაგო, დალასი და ლას-ვეგასი, მაგრამ ერთი კვირის წინათ იქაური ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პატრიკ სანდუსკიმ ყველას აუწყა, რომ აშშ წყვეტს აღნიშნულ ბრძოლას.**

ზემდგომთა ასეთ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა მსოფლიოს აზარტული თამაშების ინდუსტრიის დედაქალაქის ხელისუფლება და სოკ-ში ოპერატიულად შეიტანა შესაბამისი განაცხადი. არადა, ნებისმიერ ასეთ სურვილს, ოლიმპიური ქარტიის თანახმად, მხარს სწორედ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი უნდა უჭერდეს.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

## ყველაფერს ასწრებენ

**ამ ფოტოზე გამოსახული წყვილი სექსის დროსაა აღბეჭდილი და ისინი პარალელურად ბელგიის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩსაც ადევნებენ თვალს.**

დიახ, ბელგიის ქალაქ ლოკერენის სტადიონის სიახლოვეს მდებარე ოტელში მყოფმა 26 წლის მოდელმა ალისია ტენდერნესმა და მისმა ბოიფრენდმა დრო უქმად არ დაკარგეს და ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირეს.

ბუნებრივია, ტრიბუნებზე შეკრებილი 7000 ქომაგიდან ყველას როდი ეცალა საგულშემატკივროდ.



## ალექსანდრეს ბაღის სურათები

### ჯონიმ ჭავრი იყარა

ჯონი შარიძაძე უკვე მესამე წელია, რაც ალექსანდრეს ბაღში გამოჩნდა. ჯერ შორიდან დაგვზვერა, მერე ნელ-ნელა მოგვიახლოვდა, მერე კამათშიც ჩაერია, ქვეყნის საგარეო ურთიერთობების ცოდნა გამოავლინა და მალე „პარლამენტის“ უმრავლესობის ყურადღებაც დაიმსახურა. იგი უკვე ჩვენი სრულუფლებიანი წევრია, ოღონდ, მეჯღანუაშვილის „ჯღანივით“ „ორჯონიკიძეს“ ვერ იცილებს და ამით გვარიანად ელახება ავტორიტეტი. საქმე ის არის, რომ ჯონი ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშიდანაა (სერგო ორჯონიკიძის წყალობით რომ ქვეყანამ გაიცნო) და ჩვამანია ოხერი, შიგადაშიგ, კამათში რომ მარცხდება მასთან, გესლიანად წამოაძახებს, წადი რა, ძმაო, სერგო ორჯონიკიძის ძეგლი დაუდგამთ ღორეშაში და ყვავილები მიუტანეო!.. ფითრდება ჯონი, მაგრამ რა ქნას, ჩვამანიამ შეიძლება მეგრულად შეუკურთხოს...

...ერთი ამბავია „პარლამენტში“, დიდ გულზე რომ ვიყავით ქართველები, ჩვენი ორი გუნდი გავა ევროლიგაშიო, როგორც ვნახეთ, ორივემ „ჩაიკუკა“. ჰოდა, ამ კამათში, ჩვამანიას გულის გასახეთქად, ჯონიმ „დაგლიჯა“: „სადღაა საქართველოში ფეხბურთი, ბიძია!.. დამთავრდა მაჩაიძეები და ყიფიანები!.. წევიდეს ეს თქვენი „დინამო“, ჯერ ხარაგაულის „ჩხერიმელას“ მოუგოს, და მერე სინჯოს ევროპაში თამაში, გეიგეეეთ!..“

ვინ შეეპასუხება, მგონი, მართალია ეს ჩვენი ღორეშელი.

### რაჟიკოს სიხარული

ეს ტერიტორია რაჟდენისაა, ჩვენ რომ შინაურულად „რაჟიკოს“ ვეძახით. ლაპარაკია ალექსანდრეს ბაღის ერთ დიდ მონაკვეთზე, რომელშიც დადგმულ სანაგვე ყუთებს რაჟიკო „აკანტროლებს“. იგი, ზამთარ-ზაფხულ, დილის შვიდი საათიდან ბაღშია, დაკვირვებით „ჩითავს“ სანაგვეებს და თუ რაიმე „საკბილო“ (უფრო ბოთლები) იპოვა, გაზინთულ ჩანთაში ყრის.

გუშინწინ რომ ჩამოგვიარა და ჩვენს გვერდით სანაგვეებს ჩახედა, ძველებურად მოვიკითხეთ ყოფილი ინჟინერი(ასე გაგვეცნო). „კაცო, ამ მერიამ, როგორც იქნა, ერთი გონივრული იდეა არ წამოჭრა? – გადმოგვილაპარაკა რაჟიკომ, – ნაგვის ყუთებში ცალკე ნაგავი ჩავყაროთ და ცალკე ბოთლებიო. რა ჯობს მაგას: აღარ დამჭირდება ნაგვის ქექვა, გამზადებული დამხვდება ყუთში ბოთლები!.. ყოჩაღ, გიგი!.. – მწარედ ეღიმება რაჟიკოს.

აი, ბედის ირონია, აი, ჩვენი დღევანდელობა...

### ბონდო ჩამოვიდა

გვიყვება და გვიყვება ქვემო რაჭის ამბებს ბონდო მიქიაშვილი. სულ ორ კვირას ვიყავი, მარა მოვითქვი სულიო, ჰაერი გინდა, წყალი გინდა, ყველი და ნადუღი გინდა, ხორცი გინდა, ალალი და უსაყვედუროოო... ოღონდ კაცმა ცოტა ხელი გაანძრიოს, მაგრამ სადღა არიან კაცებიო, ახალგაზრდებიო... მოხუცები დაფოჟიალობენ აგერ-ეგეროო...

– შე კაცო, გადავიდეთ ზნაკვაში, რას მივჩერებივართ ამ ჩახუთულ თბილისს, – თვალს გვიკრავს რამაზი.

– იცინე შენ და მე სექტემბრის ბოლოს ისევ წავალ, კაკლებს იმდენი ასხია, სულ ძირს იქნება ჩამოცვენილი, ახიკვის და ტომრებში ჩაყრის მეტი არაფერი უნდა... „ალექსანდროულიც“ დასაკრეფია...

– „ალექსანდროული“ შენ შარშანდელიც გექნება ბონდო, მოდი, დავლოცოთ შენი მშობელი ზაკვა, – ეუბნება ჩვამანია.

– მოგიკვდეთ ჩემი თავი!.. ხვალ ხომ მარიამობაა და დავლოცოთ, მოვიტან ახლავე...

### ზოგჯერ „მცნობელიც“ შეცდება

აი, „პარლამენტში“ ზაზაც გვიერთდება, მაგრამ, ეტყობა, გაბრაზებულია, არც მალავს, პოლიეთილენის პარკი აჩიკოსთან მიაქვს და ყველას გასაგონად ეუბნება: „რა არის კაცო ეს, რავა მომჭერი თავი ოჯახში!.. ესაა შენი შერჩეული საზამთრო?!“ – და, პარკიდან გვიჩვენებს შუაზე გაჭრილ, უზარმაზარ უმწიფარ საზამთროს. „პარლამენტს“ ხარხარმა გადაუარა: „აკი, მაგარი ვარო, აკი ცნობა ვიციო“.

რა ქნას აჩიკომ – მაგრად „გაიჭედა“. ეს პარლამენტის წევრი ქუთაისის ახლომახლო რომელიღაც სოფლიდანაა, განთქმულია ჩემი სოფლის მწვანილი, საზამთრო და ნესვიო, ბევრ-



ჯერ უთქვამს, ერთს დავხედავ საზამთროს და უკვე ვიცი, როგორიაო... ჰოდა, გუშინ ზაზამ სთხოვა, თუ ძმა ხარ, აჩიკო, ერთი საზამთრო ამარჩევინე, წავკისში მინდა ავიტანო ცოლ-შვილთანო... მეტი რა საქმე გვქონდა და ჩვენც გავყევით, იქვე დაზვინულ საზამთროსთან დავდექით და აჩიკოს მივჩერებივართ. აჩიკომ სერიოზული სახით, თვალების წკურვით, გადახედ-გადმოხედა ზვინს და გამყიდველს ეუბნება, აი, ის აწონეო... ხომ არ გაგიჭრათო, გამყიდველმა, რა უნდა გამიჭრა, ბიჭო, ჩადე „ცელოფანში“ და აწონეო, მედიდურად ეუბნება აჩიკო. გამყიდველმაც აწონა, 10 კილო გამოვიდა, ზაზამ ფული გადაიხადა, წავკისში მიმავალ ავტობუსს დაელოდა, ჩვენ კი დავიშალეთ.

ჰოდა, აი, შარი აჩიკოს! „გაჭრა, ხალხო, ბიჭმა და აუტყდა სიცილი, ეს რა მოგიტანია, მამაო!.. არადა, უკვე მაგიდას იყო შემომსხდარი მთელი ოჯახი თეფშებითა და ჩანგლებით“.

„კაი რა, ზაზა, არ ვარ მთლად დამნაშავე... იცი რამ შემაცდინა? სქელკანიანია, ბიჭო, ეს ოხერი კახური საზამთრო... ერთხელ ვინ არ შემცდარა, წავალ ახლა, ვიყიდი და ჩემ სახელზე წაიღე წავკისში.

– საბოლოოდ რომ მოიჭრა თავი, არა?..

– აი, ნახავ, რა კარგი გამოვა.

და აჩიკო საზამთროს მოსატანად მიდის, ზაზაც გაჰყვა უკან, სად ექნება საზამთროს ფული მაგ ოხერსო....

ვილენ მარდალეიშვილი

## რას არ გაიგებ!..

### ყველა შემთხვევისთვის

**ქალებს, რომლებიც სამოგზაუროდ ემზადებიან, ორჯერ მეტი ნივთი მიაქვთ თან, ვიდრე მათ დასვენების დროს ჩაიცვამენ, აჩვენა 3 ათასი ქალის გამოკითხვამ, რომელიც ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ მოაწყო.**

გამოკითხვის შედეგების თანახმად, ქალბატონები, როდესაც შერჩევით ერთობიან, იღებენ ძალიან ბევრ ტანსაცმელს. ქალიშვილებს ორკვირიან მოგზაურობაში საშუალოდ მიაქვთ 18 ჩუსტი, 12 წყვილი შორტი და ქვედატანი, 6 საცურაო კოსტიუმი და 8 წყვილი ფეხსაცმელი. ზოგიერთი კი ახერხებს ჩემოდანში ჩადოს 10 წყვილი მაშიები („ბოსანოჩკები“ძ და ფლოსტები.

ამ დროს ორკვირიანი შვებულების დროს ქალბატონები ახერხებენ ჩაიცვან 12 ჩუსტი, 6 ქვედატანი, 3 საცურაო კოსტიუმი და მაქსიმუმ 6 წყვილი ფეხსაცმელი.

### ბედნიერები არიან გულუხვები

**რასაც მეტს გასცემს ადამიანი, მით მეტად ბედნიერი ხდება იგი, დარწმუნებული არიან კანადელი ფსიქოლოგები. ამ დროს ხომ გახსენდებათ ჩვენი შოთა რუსთაველი, რომელიც ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნიდან გვმოძღვრავს: „რასაცა გასცემ – შენია, რაც არა – დაკარგულია“.**

მათ გამოკითხეს ასობით ადამიანი, თუ რამდენ ფულს ხარჯავენ და რაზე წელიწადში და რამდენად ბედნიერები არიან ისინი. აღმოჩნდა, რომ სხვებზე უფრო ბედნიერები არიან ისინი, ვინც ბევრ ფულს სწირავს საქველმოქმედო საქმისთვის, ეხმარება მეგობრებსა და ნათესავებს.

მეცნიერთა აზრით, გულუხვმა ადამიანმა იცის, რომ მას მოაქვს სარგებელი გარშემომყოფთათვის და ამიტომ გრძნობენ თავს უფრო კომფორტულად.

### გემოვნებიანი მამა

**ბრიტანელ ქალებს, ვისაც სურთ დაფეხმძიმდნენ დონორის დახმარებით, ახლა შეუძლიათ შეარჩიონ კანდიდატი არა მხოლოდ მისი ფიზიკური მონაცემების საფუძველზე. პოტენციური მამების ანკეტებში აღწერილია ადამიანის სტილი, როგორც „როკ-ვარსკვლავის იმიჯი“, ან „ინგლისური სტილის თაყვანისმცემელი“, რომელიც „ეწევა თვითანალიზს – მოშვებულია“...**

დონორების გარეგნული იერის დეტალური აღწერის გარეშე ანკეტებში არის ცნობებიც კაცის პიროვნულ ღირსებებზე და გატაცებებზე, ბანკში ბიომასალის ჩაბარების დროს დონორები ავსებენ ანკეტას და წერენ მოკლე ბიოგრაფიას და იმ მიზეზებს, რამაც აიძულეს ისინი შეეწირათ ბანკში. სხვათა შორის, მამაკაცების უმრავლესობა დონორობას განიხილავს, როგორც ფილანტროპიის აქტს, კლინიკის პერსონალი, თავის მხრივ, აცხადებს საკუთარ შთაბეჭდილებას დონორზე, მათი აზრიც შეიძლება ნახო ანკეტაში.

### ქალის იოგა

**ჰონკონგში გაიხსნა სალონი ძაღლებისთვის, სადაც არის არა მხოლოდ საპარიკმახერო, მანიკიურის კაბინეტი და აუზი, არამედ ისიც, სადაც მათ ასწავლიან იოგას ვარჯიშებს.**

„ძაღლის იოგა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიგონეს, რის შემდეგაც ეგზოტიკური გატაცება გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ძაღლის იოგას ინსტრუქტორების სიტყვით, მათი მეცადინეობა მიზნად ისახავს, რომ გააუმჯობესონ ცხოველის კუჭნაწლავთა და გულ-სისხლძარღვთა მუშაობა. ამას გარდა, რელაქსაციური იოგა-თერაპია უკიდურესად სასარგებლოა როგორც თავად ცხოველების, ისე მათი პატრონების ფსიქიკური მდგომარეობისთვის“.

ამავე დროს „ძაღლის იოგას“ ჰყავს მოწინააღმდეგეებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ახალმოდურმა გატაცებამ შეიძლება გამოიწვიოს პატრონის დაქვემდებარება ოთხფეხა მეგობარზე და, როგორც შედეგი, მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა ცხოველის სიკვდილის შემდეგ, რომლის სიცოცხლის ციკლი ბევრად ნაკლებია ადამიანისაზე.

რეზო და რუსუდან გაგუები იზიარებენ ახლო მეგობრის ფრიდონ თოდუას მწუხარებას დის

**ნაილი თოდუა-კახაძის**

გარდაცვალების გამო.

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, ონკოლოგთა საზოგადოება და ასოციაცია იზიარებს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მწუხარებას დის

**ნაილი თოდუა-კახაძის**

გარდაცვალების გამო.

## ინფორმაცია

### ქარელში სტუმარმა მასპინძელი მოკლა

ალეკო ცენგირაშვილი გელუტაშვილების ოჯახში, სადაც შვილიშვილის დაბადებას აღნიშნავდნენ, სტუმრად იმყოფებოდა.

მეზობლების განცხადებით, მკვლელობას წინ შელაპარაკება უძღოდა, რაც ცენგირაშვილს სუფრის რამდენიმე წევრთან მოუვიდა.

სტუმარმა მასპინძელი სანადირო თოფით, ორჯერ გასროლით მოკლა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე წუთში მეზობლებმა დააკავეს და სამართალდამცველებს გადასცეს.

### ბათუმში 23 აგვისტოს მომხდარი მკვლელობა გახსნილია

აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 1989 წელს დაბადებულმა ლევან ნინუამ 23 აგვისტოს, 6 მაისის სახელობის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანის გამოყენებით, ჭრილობა მიაყენა 1993 წელს დაბადებულ გიორგი ლალიაშვილს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ლევან ნინუა დანაშაულს აღიარებს.



ჩაჩავას კლინიკის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი, დიაგნოსტიკური ცენტრის მედდა

**ციური (ციცო) გამილაღდიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## დაიჯესტი

### წვენი და... ძილი



**ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ალუბლის წვენს კარგი ძილის უზრუნველყოფა შეუძლია.** მოხალისეებს, ვინც დილით და საღამოთი ალუბლის სუფთა წვენს სვამდნენ, იმაზე გაცილებით უკეთ ეძინათ, ვიდრე მათ, ვინც იგივე ოდენობით სხვა წვენს სვამდა. აღმოჩნდა, რომ ალუბალი დიდი ოდენობით ჰორმონ მელატონინს შეიცავს, რომელიც ფხიზლობისა და ძილის ციკლებს აწესრიგებს.

### ნეტა რას ამბობენ ძიძა და საქმროები?



**საფრანგეთის მაღაზიებში მალე ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლის კარლა ბრუნის ბიოგრაფიული წიგნი გამოვა.** გამომცემლობა „ექსპრესის“ ჟურნალისტის ბესმა ლაჰურის მიერ დაწერილი წიგნი, როგორც ვარაუდობენ, სარკოზების წყვილს ნამდვილად არ მოეწონება, ავტორის მტკიცებით, წიგნის დაწერისას მან ინტერვიუები ჩამოართვა მომავალი პირველი მადამის ძიძას, მის საქმროებსა და პლასტიკურ ქირურგსაც კი.

### ხანდაზმულთათვის მოსახერხებელი ქალაქი

**ნიუ-იორკი პირველი ქალაქი გახდა, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ხანდაზმულ ადამიანთა სიცოცხლისთვის ხელსაყრელი პირობების მქონე ქალაქთა გლობალურ ქსელს შეუერთდა, რომელიც ამჟამად იქმნება.** ამ ქსელის შექმნის იდეა მსოფლიოს 33 ქალაქში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად წარმოიშვა. მან დაადასტურა ხანდაზმულ ადამიანთათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, დასვენების ადგილების, მაღაზიების ადვილი ხელმისაწვდომობის დიდი მნიშვნელობა, აგრეთვე მათთვის კარგი საცხოვრებელი პირობებისა და ეფექტიანი სამედიცინო დახმარების შექმნის აუცილებლობა.



საგულისხმოა, რომ გლობალურ ქსელში გაერთიანების სურვილი მსოფლიოში უკვე მრავალმა დიდმა თუ პატარა ქალაქმა გამოთქვა.

### ვის რა აშინებს...

**აკვიატებულ იდეებს, რომლებიც ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანებს უჩნდებათ, ფსიქოლოგები „მდორედ მიმდინარე შიზოფრენიით“ ხსნიან. მიაჩნიათ, რომ ისინი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში წარმოიშობიან, თუმცა ზოგჯერ მოწიფულ ასაკში იჩენენ თავს.**

ასეთ ავადმყოფებს ავადმყოფურ გამოვლინებათა პოლარული ცვლა ახასიათებთ – ისინი ხან აღგზნებულნი არიან, ხან აპათიურნი, უჩნდებათ შიშები, რომლებიც, ზოგჯერ, ერთიანად ეპატრონებიან მათ ფსიქიკას. ამ შიშების მიზეზი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ. მაგალითად, აგაროფობია – ესაა ღია სივრცის, ადამიანთა თავშეყრის შიში; გერონტოფობია – მოხუცებთან ურთიერთობის, დაბერების შიში; დემონოფობია – ავი სულების შიში, ხოლო ფაზმოფობია – მარტო ეშმას კი არა, არამედ სხვა ფანტასტიკურ არსებათა შიში; ნიქტოფობია სიბნელის, ასევე კოშმარული სიზმრების აკვიატებული შიშია. გარდა აღნიშნულისა, არის კიდევ მრავალი სხვა სახეობის ფობია. კერძოდ, ნეკროფობია – ცხედრების შიში, ერიტოფიით შეპყრობილებს წითლად შეღებილი საგნების შიში აქვთ, ხოლო ერემოფობია – უკაცრიელ ადგილას მარტო ყოფნის, იეროფობია – რელიგიური კულტის საგნების, კოინოფობია – ხალხით სავსე შენობის, რიპოფობია – სიბინძურის, ტალახის, ტაფეფობია – ცოცხლად დამარხვის და, შედეგად, დაკრძალვასთან დაკავშირებული ყველა რიტუალის, თეოფობია – უფლის, მისი რისხვის, ფოტოფობია – სინათლის, ეიზოპტროფობია – სარკეების შიშებია, რომელთა გარდა კიდევ მრავალი სხვა ფობია არსებობს.



### მამაცი ბილი



**ირლანდიელი ბილ ვერიტი ერთადერთი ზღვაოსანია, ვინც ატლანტიკის გადასერა... ქარიშხალთან ერთად შეძლო.** იგი სამშობლოდან ქარიშხალ „დების“ გაჰყვა პატარა იალქნიანი ნავით და გზაში საჭე დაკარგა, თუმცა მამაცი ბილი ამას არ შეუშინდა. ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროს რომ მიაღწია, მან სანაპირო დაცვას რამდენიმე ფიცრის მიწოდება სთხოვა, რათა ახალი საჭე გაეკეთებინა და მოგზაურობა განეგრძო.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● „ჩაინა თაუნები“ – ჩინელებით დასახლებული კვარტალები არის ბოსტონშიც და ნიუ-იორკშიც, მაგრამ იქ ინგლისურ ენაზე დასმულ შეკითხვაზე იშვიათად პასუხობენ.

● ეს კავალერისტი ძალიან მკაცრი და შეუბრალებელი იყო. განსაკუთრებულად სასტიკად ის პარიზის კომუნარებს 1871 წელს გაუსწორდა, თუმცა სახელი ამით არ გაუთქვამს. სახელი გაითქვა იმით, რომ მან გამოიგონა შარვალი გალიფე.

● მაკედონელის ლაშქარში ხშირად იყენებდნენ ტარანს. ეს იყო ხის ძელი მეტალის ბოლოთი, ძელის ბოლოს გამოქანდაკებული იყო ცხვრის თავი.

● ვერსალისა და სხვა სასახლეების კედლები მორთული იყო გობელენებით. კერძოდ, იყო „სამეფო რეზიდენციის“ გობელენების სერია, რომელზედაც გამოსახული იყო ციხესიმაგრე ტიულრი, სენ-ჟერმენი, შამბორი და სხვ. სულ – 12. გობელენები თვეების მიხედვით იყოფოდა – ტიულრი ოქტომბრის იყო.

● ყველასათვის ცნობილია დაფნის გვირგვინი, მაგრამ ძველ რომში არსებობდა ეგრეთ წოდებული სამოქალაქო გვირგვინი, რომელსაც მუხის ფოთლებისგან წნავდნენ და იმ ჯარისკაცს უმკობდნენ თავს, რომელიც ამხანაგს სიკვდილისგან იხსნიდა.

● მეფე ჰენრი VIII კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, დიდებულებს ძვირფასი სამკაულები ეტარებინათ, მაგრამ ვერანაირი აკრძალვით ამას ვერ მიაღწია, ამიტომაც მან ქურდებსაც და მეძავეებსაც დართო ნება, ეტარებინათ სამკაულები და მიზანსაც მიაღწია.

● აფრიკაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა გადმოცემით, ზანგები ზოგჯერ თანამემამულეზე ამბობდნენ, „ის უკვე აღარ ცეკვავს“ და ეს სიტყვები ნიშნავდა იმას, რომ ამ უკანასკნელმა ქრისტიანობა მიიღო.

● ბოშები საყოფაცხოვრებო ნივთებს მიწაზე არ ალაგებდნენ, რადგან ბოშათა წარმოდგენით, ცა ბოროტი ღვთაება იყო, თოვლსა და წვიმას მოუვლენდა მათ, მიწა კი პირიქით, იმდენად წმინდა იყო, რომ შიშობდნენ, მასთან შეხებით საყოფაცხოვრებო ნივთები წმინდა ნივთებად არ ქცეულიყო, რის შემდეგაც მათ მოხმარებას ველარ შეძლებდნენ.

● შურისძიების სიცილიურ წესს ვენდეტა ჰქვია, ხოლო იაპონიაში – კატაკუიტი.

● ამერიკულ დოლარებზე გამოსახული პირებიდან მხოლოდ ფრანკლინი არ იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

● ბანაობის დროს ტომ სოიერს, ჰეკლბერი ფინსა და ჯო ჰარპერს ფეხზე გველის ჩხრიალები ჰქონდათ შებმული, მაშინ ეგონათ, ეს უებარი საშუალება იყო კრუნჩხვისაგან თავის დასაცავად.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ქმარი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში კომაში იყო, გონს მოეგო. მთელი ამ დროის განმავლობაში მას ცოლი არ მოშორებია. ქმარმა თვალები გაახილა და მის სასთუმალთან მჯდომ ცოლს ეუბნება: „შენ ჩემთან იყავი ყველაზე მძიმე წუთებში. როდესაც სამსახურიდან გამათავისუფლეს, შენ მამხნევებდი, როდესაც დამჭრეს, ჩემს გვერდით იყავი, როდესაც ბიზნესი ჩამივარდა, ჩემთან იყავი, როდესაც სახლი დავკარგეთ, შენ მედექი მხარში, როდესაც სიკვდილის პირას ვიყავი, ბოლომდე ჩემთან დარჩი. იცი, მარტა, რას ვფიქრობ?“

– „რას, ძვირფასო?“ – უღიმის ცოლი და ქმრის მიმართ გულში სითბო ელვრება.

– „რას და, მეჩვენება, ჩემთვის უბედურება მოგაქვს“.



* * *

შედის ტიპი აფთიაქში და გამყიდველ გოგოს რაღაცას ჩურჩულით ეუბნება.

– რა დამცავ საშუალებებს თხოულობ? თავდაცვის სამინისტრო კი არ არის, აფთიაქია!

* * *

– მთელი კვირა ვაიძულებდი ქმარს, რომ ტუალეტის რემონტი დაეწყო.

– მერე?

– შაბათს დაკეტა ტუალეტი, ჩამოკიდა განცხადება – ტუალეტი რემონტის გამო დაკეტილიაო – და გარაჟში წავიდა!

* * *

– თუ ქმარი ოთხჯერ გაუხვევს „მარცხნივ“, გეომეტრიის კანონთა შესაბამისად, უთუოდ ცოლს დაუბრუნდება.

– თუ ცოლი იზამს იმასვე?

– იგი დედამისს დაუბრუნდება.

* * *

თუ ცოლი ჯიბეში პრეზერვატივს აღმოგიჩენს, მზად გქონდეს პასუხი: სპეციალურად ჩავიდე, რათა დავრწმუნებულიყავი, მუდამ იქექები თუ არა ჩემს ჯიბეში!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24